შვიდი ხალხი შეუერთდით!

პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

ახალი სოფელი

მარცხი ყოველთვიური სასოფლო სამეურნეო და პოპულარულ მეცნიერული ჟურნალი №3



შინაარსი:

ჰარტია და სასოფლო მეურნეობა.
ჩაის ბუჩქის გაშენება
აგრ. ივ. ჯაში
საჭონლის საკვების საკითხი ჩვენში
აგრ. ნ. თხინვალელი
ამერიკული ვაზი და ჩვენი ვენახების აღდგენა აგრ. ვ. ბიბილაშვილი
სად და რომელი ჯიშის ხეხილის გაშენება შეიძლება ჩვენში
სპეც. მ. ქარცივაძე
აბრეშუმის ჭიის გამოყვანის სამზადისი სპეც. ვლ. ნიჟარაძე
ჭარხლის მოყვანა
აგრ. ი. ქურდიანი
მანდარინის ბაღის გაშენება
აგრ. ერ. ნაკაშიძე
რა უნდა ვიცოდეთ ვენერიულ სენზე ექ. პ. ბუაჩიძე
როგორ გამოიგონა ადამიანმა ნიადაგის დამმამუშავებელი იარაღები
აგრ. კლ. ლეჟავა
გამოსადეგი ცოდნა
კითხვა-პასუხი.

ტფილისი.
1928

გამომცემლობა „ახალი სოფელი“

ყოველთვიური სალიტერატურო-სამეურნეო და მეცნიერულ-პოპულიარული ჟურნალი

„ახალი სოფელი"

გამოდის 1928 წლის იანვარიდან აგრონომ **ნ. აღნიაშვილის** საერთო რედაქციით.

ჟურნალს სცემს გაზეთი **„ახალი სოფელი"-ს** რედაქცია.

ჟურნალის მიზანია: მიაწოდოს მშრომელ გლეხობას აგრონომიული ცოდნა, გააცნოს მას ჯანმრთელობის და მეცნიერების საკითხები გასაგებ ენაზე.

ჟურნალში მონაწილეობენ ჩვენი ცნობილი აგრონომები: მეცენახეობაში—**ვ. გიგილაშვილი**; მეღვინეობაში—**კ. ბერიკაშვილი**; მესაქონლეობაში—**მ. ციმაკურიძე**; მებაღეობაში—**მ. ძარცივაძე**; მეტყეობაში—**ბ. გრიგვაძე**: სუბტროპიკულ კულტურის დარგში—**მრ. ნაკაშიძე**; მემინდვრეობა-იებოსტეობაში—**ნ. აღნიაშვილი**; ტეხნიკურ მცენარეების კულტურის დარგში—**ი. ჟურდიანი**; მეაბრეშუმეობაში—**ვლ. ნიშარაძე**; ენტომოლოგიაში **პ. ლომაძე**; ვეტერინარიაში საქონლის ექიმი—**მ. მირიანაშვილი**

ჟურნალში ჯანმრთელობის დარგს ხელმძღვანელობს ცნობილი ექიმი **ივ. ბოძმართალი.**

მეცნიერულ-პოპულიარულ განყოფილების ხელმძღვანელად მოწვეული არიან მეცნიერული ძალები და სათანადოთ მომზადებული პირები.

გარდა ჩამოთვლილ პირებისა ჟურნალში მონაწილეობენ **აგრონომები:** თ. მგრელიშვილი, გ. აბესაძე, ი. ჯაში, კ. ლეჟავა, კრ. ჯაფარიძე (ტფილისი), ნ. ეფრემიძე (სიღნაღი), ნ. ნუცუბიძე (ქუთაისი), პ. ღვალაძე (შორაპანი), ნ. კეჩხუაშვილი (გორი), არ. კობახიძე (სიღნაღი) და ვ. შანიძე (გურია). **სპეციალისტები:** აპ. წულაძე, ქეთო ყანჩაველი და ვ. ჭანტურიშვილი.

ჟურნალში თანამშრომლობენ აგრეთვე გამოცდილი სოფლის მეურნეები.

იდის ყოველ თვის პირველ რიცხვ ში.

ნებაც! შეიძინეთ და იკითხეთ თქვენთვის მეტად ურნალი **„ახალი სოფელი".**

ხელის მოწერის პირობები:

—1 მ. 50 კ., ექვსი თვით—80 კაპ., სამი თვით—40 კაპ.

ეკე ნომერი 15 კაპ.

აწერა მიიღება ყველა ქოხ-სამკითხველოებში და ექციაში შემდეგი მისამართით:

ი, ვოლოდარსკის ქუჩა № 11. ჟურნალ „ახალი ეკციას.



გაუმარჯოს მშრომელი გლეხობის კავშირს!

ახალი სოფელი

ყოველთვიური სასოფლო-სამეურნეო და პოპულარულ-მეცნიერული ჟურნალი

პარტია და სასოფლო მეურნეობა

პარტია განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს სასოფლო მეურნეობის განვითარებას.

პარტიის მეხუთმეტე ყრილობამ სოფლად მომუშავე ორგანიზაციებს — თემკომებს და პარტუჯრედებს ძიუთითა, ამ საკითხს მეტი ადგილი დაუთმონ თავის ყოველდღიურ მუშაობაში და ყოველი საშუალებით ხელი შეუწყონ სასოფლო მეურნეობის ზრდა-განვითარებას და კულტურულ მეურნეობაზე გადასვლას.

ამის მთავარი გზა არის კულტურულ მეურნეობაზე გადასვლა.

რას აკეთებენ თემკომები და პარტუჯრედები ამ მხრივ?

უნდა ითქვას, რომ დღემდის არც თემკომებს და არც კომუჯრედებს ამ საქმეში **ზოგან ხელიც კი არ გაუნძრევიათ.**

ისინი ხშირათ მეტ ყურადღებას აქცევენ ზოგიერთ წვრილმან საკითხებს, ვიდრე თავისივე სოფლის მეურნეობის განვითარებას.

ზოგს ისიც კი ჰგონია, რომ ეს მათ პირდაპირ მოვალეობას არ შეადგენს, ათი საქმე არ არის სასოფლო მეურნეობის განვითარებაზე ძსჯელობა და ამ განვითარებისათვის საჭირო გზების და საშუალებების გამოძებნა. რას ჰგავს, რომ სიტყვით კულტურულ მეურნეობისაკენ მოუწოდებდე გლეხობას, საქმეში კი არ ერეოდე, გაზე იდგე, ხელმძღვანელობას არ უწევდე, პრაქტიკულად არ ეხმარებოდე და მაგალითს არ აჩვენებდე მათ.

აღარ შეიძლება ამ მდგომარეობის გაგრძელება!

პარტიის მეხუთმეტე ყრილობამ მოსთხოვა ცხოველი მონაწილეობა მიიღონ თემკომებმა და კომუჯრედებმა სასოფლო მეურნეობის განვითარებაში.

რას ნიშნავს ეს?

ეს იმას ნიშნავს, რომ პარტიის თემკომმა და სოფლის კომუჯრედმა სათანადო ხელმძღვანელობა გაუწიონ სასოფლო მეურნეობასთან ახლოს მდგომ ორგანიზაციებს: სასოფლო კოოპერატივებს, სოფლის საბჭოებს, საკრედიტო ამხანაგობებს, მანქანა-იარაღების გამქირავებელ პუნქტებს და სხვა.

გარდა ამისა, თვით თემკომები და კომუჯრედები უნდა ჩაებან პრაქტიკულ მუშაობაში. მათ უნდა იბრძოლონ სათესი მინდვრის გასაფართოვებლად, მოსავლის ნაყოფიერების გასადიდებლად. და, რაც მთავარია, **მათ უნდა იკისრონ თანასწორება მეურნეობის კოლექტიურად და კოოპერატიულად გაერთიანებისათვის.**

მომავალი თესვის კამპანია თემკომების და კომუჯრედების გამოცდები იქნება და მაშინ გაჩნდება, როგორ აქვთ შეგნებული ყრილობის დადგენილება და რამდენად სწორად და უცვლელად ატარებენ მას ცხოვრებაში.

Y 915

სოფლის მეურნეობა

ჩაის ბუჩქის გაშენება

ყოველი გლეხი, რომელიც აშენებს ჩაის ბუჩქს, შეგნებულად და მომზადებულად უნდა შეხვდეს ჩაის თესვის დროს. პირველად ყოვლისა აუცილებლად საჭიროა, რომ ნიადაგი კარგად, ღრმად იყოს დამუშავებული და საღი თესლით დათესილი. საღ თესლს აწოდებს გლეხობას სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“, ხოლო ნიადაგის დამუშავებას ამოწმებს აგრ საზოგადოების ინსტრუქტორი და ტეხნიკი.

საფარი თხრილების გაკეთება.

ძლიერ დაქანებულ ადგილას ტერასები უნდა გაკეთდეს. ეს იმიტომ, რომ ნიადაგი არ ჩამოირეცხოს და, აგრეშასადამე, ჩაის ბუჩქიც არ დაზარალდეს.

ძაგრამ, საშუალო დაქანების ფერდობზე არ არის საჭირო ტერასების მოწყობა. ასეთ შემთხვევებში საკმარისია საფარი თხრილების გაყვანა. თხრილები უნდა გაიყვანოთ 10-11 მეტრის (დაახლოვებით 5 საჟენის) მოშორებით ერთი მეორიდან. ასეთი თხრილების გაყვანა არც დიდ დროს და არც დიდ ცოდნას მოითხოვს. ამავე დროს თხრილებს დიდი სამსახურის გაწევა შეუძლია ჩაის პლანტაციისათვის.

ხშირად გლეხი ასეთი საფარი თხრილების გაყვანას გაურბის, მაგრამ ამით ზარალის მეტს არაფერს ნახავს.

ნიადაგის მომზადების შემდეგ უდიდესი ყურადღება ჩაის პლანტაციის დაგეგმვას უნდა მიექცეს.

პლანტაციის დაგეგმვა.

გლეხი იფიქრებს, ნუ თუ დაუგეგმავ პლანტაციაში ჩაის ბუჩქი ვერ იხარებს და ნაკლებ მოსავალს მოგცემსო.

ვისაც კი ერთხელ ყანა ან ბოსტანი გეგმაზე და წესიერად მოუყვანია, მან კარგად იცის, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს საერთოდ კარგად დაგეგმულ პლანტაციას. ჩაის ბუჩქის დაგეგმილ პლანტაციაში მუშაობა გაცილებით უფრო ადვილია და მეტის და უკეთესად გაკეთებაც შეიძლება. განსაკუთრებით უფრო ადვილია დაგეგმილ პლანტაციაში მანქანა-იარაღებით (კულტივატორით) ნიადაგის დამუშავება. პლანტაციის დაგეგმვას მეორე უპირატესობაც აქვს: **დაგეგმილ პლანტაციაში მეტი ბუჩქი ეტევა და ამგვარად მიწის გამოყენება უკეთესად შეიძლება.**

ამას დიდი მნიშვნელობა აქვს ჩვენში, რადგან მიწის დიდ სივიწროვეს განიცდის გლეხობა.

გარდა ამისა წესიერად დაგეგმილ ჩაის პლანტაციაში ბუჩქები ერთმანეთზე თანაბრად არიან დაშორებული და ამის გამო თანაბრადვე სარგებლობენ როგორც მზის სხივებით და ჰაერით, ისე საზრდოთი.

ამ რიგად, ვისაც უნდა, რომ დამუშავებული საჩაიე ადგილი კარგად იყოს გამოყენებული, შრომა გაუადვილდეს და შემოსავალი მიიღოს, მან თავის პლანტაცია უსათუოდ უნდა დაგეგმოს.

პლანტაციის დაგეგმვა დიდ ხარჯს არ იწვევს. დასაგეგმავად საჭიროა: ხის ერთ მეტრ თანასწორ გვერდიანი

სამკუთხედი და ჯაჭვი ან თოკი. აგრეთვე საჭიროა თითის სიმსხო პალოები, სიგრძით დაახლოვებით ნახევარი მეტრი (11 ვერშოკი).

ჩაის პლანტაცია უნდა დაიგეგმოს ჭადრაკულად (შახმატური) და ბუჩქებიც დაშორებული უნდა იყოს ერთ მანეთისაგან ყველა მიმართულებით ერთ მეტრის (22 ვერშოკი) მანძილზე. ამ შემთხვევაში ერთ ქცევაზე დაეტევა ოთხი ათას ასი (4.100) ჩაის ბუჩქი.

დაგეგმვა უნდა მხოლოდ მშრალ ამინდში. თუ მიწა სველია, ის ადვილად დაიტკეპნება, მუშაობაც გაძნელდება და ჩაის თესლსაც აღმოცენა უძნელდება.

დაკვირვებულ გლეხს თვითონ შეუძლია დაგეგმოს ჩაის პლანტაცია; მაგრამ თუ მან არ იცის დაგეგმვა, მაშინ სჯობია მიმართოს ადგილობრივ აგრონომს, საქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს ინსტრუქტორს და ტეხნიკს, ან და ამ საქმის მცოდნე მეზობელს.

პლანტაციის დაგეგმვის შემდეგ, უნდა შეუდგეთ თესვას.

ჩაის თესვა.

ჩაის თესვა ადრე გაზაფხულზე, დაახლოვებით მარტის დამლევამდე უნდა დაძთავრდეს.

ვიდრე თესვას დავიწყებდეთ, საჭიროა ჩხირების გარშემო 13 სანტიმეტრის (3 ვერშოკის) მანძილზე, ნიადაგი გაფხვიერდეს. ნიადაგის გაფხვიერება უნდა 18 სანტიმეტრის (4 ვერშოკის) სიღრმეზე ორთითათი, ბარით ან თოხით. თუ გაფხვიერების დროს ნიადაგში ქვა ან ხის ძირი აღმოჩნდა, ამოაგდეთ, თორემ ის ხელს შეუშლის ჩაის მცენარის განვითარებას.

უნდა გვახსოვდეს, რომ მხოლოდ გაფხვიერებულ ნიადაგში შეიძლება ჩაის თესლის დათესვა, საიდანაც თავის დროზე ამოვა და წესიერად განვითარდება.

უკვე დაგეგმილ პლანტაციაში უნდა შეუდგეთ ჩაის თესვას. თვითეულ ადგილას (ბუდხაში), უნდა ჩაითესოს 2-3 საღი, გადარჩეული თესლი. ერთ ჰექტორზე საკმარისია 40 კილო (2 ფუთ ნახევარი) ჩაის თესლი და სწორედ ამ ანგარიშით დაურიგდება წელს გლეხებს ჩაის თესლი. თესლი უნდა დაითესოს 4 სანტიმეტრის (ერთი ვერშოკის) დაშორებით თესლი უნდა ჩაიფლას მიწაში თითის დაჭერით დაახლოვებით 4 სანტიმეტრის (ერთი ვერშოკის) სიღრმეზე. უფრო ღრმად ჩათესვა არ ვარგა, ვინაიდან თესლს აღმოცენა უჭირს და ზრდაც დაუგვიანდება. ხოლო უფრო ზერელეთ რომ ჩავთესოთ, მზის სხივები დასწვავს ან ძავნებელი დააზიანებს.

ყოველმა მეჩაიე-მეურნემ ეს კარგად უნდა დაიხსომოს.

ერთ ძუშას შეუძლია დათესოს დღეში ერთი ქცევა საჩაიე მიწა.

დათესვის დამთავრების შემდეგ ახალგაზრდა ბუჩქის ამოსვლამდე საქონელი არ უნდა გააჭაჭანოთ პლანტაციაში, რომ ნიადაგი არ დაიტკეპნოს და ნორჩი ყლორტებიც არ დაზიანდეს. ამიტომ ჩაის პლანტაცია კარგად უნდა იყოს შემოღობილი.

უნდა გვახსოვდეს, რომ თუ იმ თავითვე ნიადაგი არ არის კარგად დამუშავებული, პლანტაცია არ არის წესიერად დაგეგმილი ან და არ არის კარგად შემოღობილი, მაშინ ასეთი პლანტაციიდან დიდ შემოსავალს და სარგებლობას გლეხი ვერ ნახავს. პირიქით, შესაძლებელია, შრომამ და ხარჯმაც ტყუილათ გაუაროს.

შემდეგ შეცდომის გამოსწორებაც ძნელი იქნება.

მთავრობისაგან აღ ბულ სესხს გონიერად უნდა მოხმარება, ვინაიდან მთავრობა იმიტომ ეხმარება გლეხს, რომ მეტი შემოსავალი მიეცეს მას და გააუმჯობესოს თავისი მეურნეობა.

გლეხმა იმდენი წინდახედულება უნდა გამოიჩინოს, რომ მისთვის სასარგებლო საქმეს უფრო შეგნებულად ეკიდოს ხელი, წესიერად გააშენოს თავისი პლანტაცია, დაუჯეროს სააქციო საზოგადოება „საქართველოს ჩაი“-ს ინსტრუქტორებს და ამით თავისი მეურნეობაც გახავითაროს და მთავრობის ნდობაც დაიმსახუროს.

ჩვენმა გლეხობის ნაწილმა უკვე შეიგნო, თუ რა დიდი სარგებლობა მოაქვს ჩაის ბუჩქის გაშენებას. ჩაის ბუჩქი რამდენიმე ჯერ ძეტ შემოსავალს იძლევა, ვიდრე სიმინდი, ღომი ან სხვა მცენარე. ამიტომ წელს ჩაის გაშენებას ფართოთ მოჰკიდა ხელი გლეხობამ.

წელს ხუთასი დესეტინით მეტი ჩაი გაშენდება, ვიდრე ჩვენ წინათ ვფიქრობდით.

დაიმუშავეთ იმდენი, რამდენსაც შესძლებთ.

მაგრამ, ამასთან ერთად საჭიროა **ნიადაგის კარგად დამუშავება.**

დიდი პლანტაციის გაშენებას, რომ მიჰყოთ ხელი და ცუდათ დაამუშაოთ ნიადაგი, ეს უფრო საზარალოა. გლეხმა ჩაისათვის უნდა გამოყოს მხოლოდ იმდენი მიწა, რამდენის დამუშავებაც მას შეუძლია თავისი ოჯახის წევრების დახმარებით. უხდა გვახსოვდეს, რომ თუ ზედმეტი მიწა დაამუშავეთ, შემდეგ უკვე ვერ შესძლებთ მის წესიერად მოვლას. ხოლო, თუ ჩაის პლანტაცია თავის დროზე და წესიერად არ იქნება ძოვლილი, ის მცირე შემოსავალს მოგვცემს და ზოგჯერ დახარჯულ შრომასაც ვერ აანაზღაურებს.

ამ რიგად, ჩაის პლანტაციის გაშენების დროს დიდი წინდახედულება არის საჭირო და მხოლოდ ამ პირობებში მოგვცემს ის შემოსავალს. ჩაისაგან მიღებული შემოსავალით გლეხს შეუძლია კიდევ უფრო განავითაროს და გააჯანსაღოს თავის მეურნეობა. გარდა ამისა, ჩაის პლანტაციის განვითარების დროს უკვე შესაძლებელია მეტი მუშა ხელის გამოყენება. გარდა მამაკაცისა, აქ შეიძლება აგრეთვე ბავშვების და ქალების შრომის გამოყენება.

ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს, რადგან ამ ჟამად გურიაში, აჭარაში საშუალოთ წლის განმავლობაში 100 დღეს და მეტსაც აცდენს გლეხ-კაცობა ხოლო მისი ჩაბმა მეურნეობის ამ დარგში მეტად სასარგებლო იქნება გლეხის ოჯახისათვის.

ყველა ამ სარგებლობის მიღება შეუძლია გლეხებს მხოლოდ მაშინ, თუ ჩაის პლანტაციის წესიერად გაშენებას ამ თავითვე დიდ ყურადღებას მიაქცევს და შეასრულებს ყველა იმ სამუშაობს, რომელიც ჩვენ ზემოთ აღვნიშნეთ.

აგრ. გ. ჯაში.





ᲡᲐᲥᲝᲜᲚᲘᲡ ᲡᲐᲙᲕᲔᲒᲘᲡ ᲡᲐᲙᲘᲗᲮᲘ ᲩᲕᲔᲜᲨᲘ

ᲛᲐᲠᲢᲝ ᲑᲖᲔ ᲓᲐ ᲩᲐᲚᲐ ᲐᲠ ᲕᲐᲠᲒᲐ

ჩვენ საქონელს არამც თუ ზამთარში, არამედ ბაფხულშიაც კი აკლია საკვები. ბევრგან გაბაფხულის მიწურულში უკვე აწყებს საქონელი შიმშილს.



ოთწყის აყვავილებული ღეროს წვერი

ეს აზრი მხოლოდ იმას გააკეირებს, ვინც ჩვენი სოფლის ცხოვრებას არ იცნობს.

ეს იმიტომ ხდება, რომ ჯერ კიდევ არ ვიცით, რომ საქონლისათვისაც საკვების მომარაგება ისევე შეიძლება, როგორც ადამიანისათვის. საქონლის საკვებად ახლოლდ ისა გვაქვს, რასაც ადამიანის რჩენისათვის დათესილ და მოწეულ პირნახულიდან გვრჩება, მაგალითად: ბზე, სიმინდის ჩალა-ფუჩეჩი და ბურდო. იშვიათად შეხვდებით თადარიგიან ოჯახს, რომ საქონლისთვის გარდა ამ საკვებისა, საკმაო თივაცა ჰქონდეს.

ხოლო ბზე, ჩალა და ბურდო არც მუშა და არც მეწველ საქონლის გამოსაკვებად არ კმარა; ამ საკვებით ნაკვები მუშა ხარ-კამეჩი ვერ მოგვცემს დიდ ძალას, და არც მეწველი —ნაწველს. ყოველ სინოყიერ მოკლებული საკვები, ვერც ყუათს ვერც ჯანს და ვერც აიმსუქნეს ვერ მისცემს საქონელს.

ᲡᲐᲥᲝᲜᲔᲚᲡᲐᲪ ᲙᲐᲠᲒᲘ ᲙᲕᲔᲑᲐ ᲐᲡᲣᲚᲓᲒᲛᲣᲚᲔᲑᲡ

მშრომელ ადამიანს რომ პურთან ერთად კერძი არ ჰქონდეს,—მხალით, ყველით, რძით, ხორცით, მწვანილით, ხილით და ხან შაქრითაც რომ არ იგემრიელებდეს ხმელი პურის ან მჭადის ლუკმას, მაშინ მისი შრომაც უხაყოფო და ცხოვრებაც ხახევრად ველური იქნებოდა.

შეგნებული და დაწინაურებული ადამიანი მარტო ხმელა პურით არ კმაყოფილდება. მას მეტი მოთხოვნი-

ლება აქვს, რომლის დასაკძაყოფილებლად ის ზრუნავს.

რამდენადაც შეგნებული და დაწინაურებულია მეურნე, იმდენად ძეტს მოითხოვს თავის თავისაგან და ცდილობს რაც შეიძლება ფართოდ გამოიყენოს ბუნების მოვლენანიც.

არის ძროხა და ძროხაც, არის ძროხა, რომელიც წელიწადში 600—1000 ვედროძდე რძეს იძლევა, მაშინ, როდესაც ჩვენებური ძროხა საშუალოთ 60—80 ვედრას ძლივს გვაძლევს.

შეგნებულმა და დაწინაურებულმა დანელმა გლეხმა ისარგებლა ბუნების კანონით და თავის ძროხა, რომელიც ჩვენ ძროხასავით ცოტა რძეს იძლეოდა, ისე გაუმჯობესა, რომ დღეს ეს ძროხა ექვსას ვედრა რძეს აძლევს. იმავე დაწინაურებულ მეურნის ღორი ჩვენებურ ხარზე მეტს იწონის, მათი ცხვარი ოთხი გირვანქა მატყლის ნაცვლად, თორმეტ გირვანქამდე საუკეთესო ნაზ მატყლს იძლევა.

ესევე ინთქმის ცხენზე, ფრინველზე და სხვა.

რით შესძლო ეს მან?

საკვების გაუმჯობესებით და მოვლა-პატრონობით.

ამ ჯერად ჩვენ საკვების გაუმჯობესების იმ საფეხურზე ვილაპარაკებთ, რომელიც ჩვენი სოფლის მეურნეთა უმრავლესობისათვის ხელმისაწდომია და რომელსაც საჭიროა მან ( ) ხელი მოჰკიდოს.

საძმე საკვებ ბალახების თესვის შემოღებით უნდა დავიწყოთ

დღევანდელ პირობებში ჩვენი გლეხის მეურნეობაში საქონლის საკვების გაუმჯობესება საკვებ ბალახების თესვის შემოღებით უნდა დავიწყოთ. ეს არის ყველაზე ადვილი და ხელმისაწვდომი გზა ჩვენი ხელმოკლე გლეხი-მეურნისთვის. ეს გზა უკვე ნაცადია, როგორც შორეულ და დაწინაურებულ ქვეყნების, ისე მახლობელ მოკავშირე რესპუბლიკების შეგნებულ მოძმე გლეხებისაგან. ჩვენც ამ გზით უნდა ვიაროთ.

საკვები ბალახი ბევრნაირია

საკვებ ბალახებს შორის ყვილაზე გავრცელებული და ნაცადი და ჩვენი ქვეყნისათვის უფრო გამოსადეგი არის **იონჯა, ესპარცეტა, კოინდარი** და ალაგ-ალაგ გრილ და ნესტიან ადგილებში **სამყურა.**

ი ო ნ ჯ ა

იონჯა უხვ მოსავალს იძლევა.

იონჯა საუკეთესო ნოყიერ თივას იძლევა, იმით გამოკვებული მუშა-საქონელი ჯანიანია და ჯაფას კარგად იტანს, ძროხა კი ბევრს და მსუქან რძეს იწველის. ერთხელ დათესილი იონჯა, თუ უპატრონეთ, 6—7 წელიწადს ზედი-ზედ კარგ და უხვ მოსავალს იძლევა. იონჯა ზაფხულის განმავლობაში 3—4 და მეტჯერაც შეიძლება გაითიბოს.

ერთი ჰექტარი იონჯა თითქმის 200—300 ფუთ საუკეთესო თივას იძლევა ერთ ზაფხულს.

იონჯა იმით უფროა საყურადღებო, რომ ის ძლიერ გრძელ ფესვებს იკეთებს, ნიადაგში თითქმის ერთ საჟენზე ღრმად მიდის და იქიდან სარგებლობს სინესტით. ამიტომ მას გვალვისა არ ეშინია.

იონჯა ნიადაგს ამდიდრებს.

გარდა ამ ღირსებისა, იონჯას კიდევ ის სიკეთე სჭირს, რომ ნიადაგს არამც თუ არა ღლის და ჯანს არ უკარგავს, არამედ აფხვიერებს და ანოყიერებს. იონჯა ნიადაგს ისეთ ნივთიერებით ამდიდრებს, რომელიც ყველა ჩვენს სასარგებლო მცენარეს

ყოველთვის ესაჭიროება და ნიადაგში კი ცოტაა.

ამ ნივთიერებას აზოტი ჰქვიან.

იონჯის ფესვი რომ ფრთხილად ამოიღოთ და წყალით გარეცხოთ, მის ფესვურებზე ერთგვარ პატარა-პატარა ძიძიბებს ანუ კორძებს ადვილად შეამჩნევთ. მცოდნე ხალხის გამოკლევით ეს ძიძიბები სავსეა თვალით უხილავ არსებებით, რომლებსაც მიკრობებს უწოდებენ და რომლებზედაც ჩვენ ჟურნალ „ახალი სოფლი“-ს მე-2 ნომერში ვილაპარაკეთ.

ამ მიკრობებს ისეთი თვისებები აქვთ, რომ თავისათვის საჭირო აზოტს ჰაერიდან ითვისებენ და ამით იონჯასაც და ნიადაგსაც ამდიდრებენ. ამიტომ იონჯის შემდეგ პურეული ყოველთვის უხვ მოსავალს იძლევა.

იონჯისათვის ნიადაგის მომზადება

იონჯას კარგად დამუშავებული ნიადაგი უყვარს, სადაც ნაკლები სარეველი ბალახია. ნასიმინდარი ან ნაკართოფილარი მიწა საუკეთესოა იონჯის დასათესად, რადგან ამ მცენარეების ხშირი თოხვნა ნიადაგსაც აფხვიერებს და სარეველ ბალახებსაც სპობს. საიონჯე მიწა შემოდგომითვე უნდა მოიხნას და გაზაფხულზე გარდი-გარდმო რკინის ფარცხით დაფარცხოს, რომ ნიადაგი კარგად გაფხვიერდეს და სარეველი ბალახიც მოისპოს.

იონჯისათვის მძიმე თიხნარი, აყალო მიწა და ჭაობიანი ადგილი არ ვარგა.

იონჯის თესვა

იონჯის თესვის დრო მარტის ნახევარია. თუძცა შეიძლება შემოდგომითაც დათესვა. ერთ ჰექტარ მიწას სჭირია 20—25 კილო თესლი.

თუ მანჭანით სთესავთ, ამაზე ნაკლებიც საკმარისია.

იონჯის თესლი წვრილია, ამიტომ ხელით თესვის დროს წმიხდა ქვიშაში (სილაში) აურიეთ და ისე დათესეთ. აღმოსავლეთ საქართველოში ფიცხ ადგილებში იონჯას უნდა ჩაუთესოთ რომელიმე პურეული, რომ დაუჩრდილოს, რადგან იონჯის ახალგაზრდა ნათესს დიდი სიცხისა ძლიერ ეშინია.

იონჯის ნათესის მოვლა

პირველ ხანში იონჯის ნათესს უნდა ეცადოთ სარეველა ბალახი არ მოედოს, ამიტომ საჭიროა ხშირი გამარგვლა. არც იონჯაში ჩრდილოსათვის ჩათესილ ხორბლეულს დაშწიფება არ უნდა დააცალოთ. მოლონიერდება თუ არა იონჯა, ხორბლეული მაშინათვე ზერელეთ უნდა გათიბოთ, რადგან იონჯის დაბლა გათიბვა პირველ ხანში არ ვარგა. მეორე მოთიბვა წმიხდა იონჯის თივას მოგცემთ. ყოველ გათიბვის შემდეგ კარგია ხის კბილებიან ფარცხის გატარება იონჯაზე. ეს ხელს შეუწყობს იონჯის ბარტყობას.

რომდის უნდა მოითიბოს იონჯა

იონჯის გათიბვა მის დაყვავილებისას უნდა. ამ დროს გათიბული იონჯა მეტად ნაზს და ნოყიერ თივას იძლევა. ასეთი თივა სინოყივრით ხორბლის ქატო არ ჩამოუვარდება. რამდენიც ადრე გათიბავთ იონჯას, იმდენად მეტი კოთოლი შერჩება და ღეროებიც ხორჩად დარჩებ გადაყვავილებულ იონჯას ფოთოლი ადვილად სცვივა და ღეროც ხევდება — უმაგრდება.

იონჯის გათიბვა და აღება ძლიერ სიფრთხილით უნდა, რომ ფოთოლი ბევრი არ დაიკარგოს, რადგან იონჯაში ყველაზე ნოყიერი ნაწილი ფოთოლია. მოთიბული იონჯა პატარა-პატარა ბულულებად უნდა დააგრო-

ვოთ. პატარა ბულულაში იონჯა უკეთ შრება, ვიდრე დიდრონ ბულულაში.

იონჯის თივა საბძელში ან სათივეში უნდა შეინახოთ, რომ წვიმამ არ გააფუჭოს და არც უბრალოდ დაიფახტოს.

ᲡᲐᲓ ᲨᲔᲕᲘᲫᲘᲜᲝᲗ ᲘᲝᲜᲯᲘᲡ ᲗᲔᲡᲚᲘ

იონჯის თესლის ყიდვას კერძო ვაჭრისაგან უნდა ერიდოთ. აუცილებლივ მოტყუებული დარჩებით. იონჯის კარგი თესლი იყიდება მიწად-მოქმედების სახალხო კომისარიატის და „სოფლის კავშირის“ საწყობებში. კილო იონჯის თესლი ღირს დაახლოებით 1 მან. 40 კ.

აგრ. ნ. თხინვალელი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚᲘ ᲕᲐᲖᲘ ᲓᲐ ᲩᲕᲔᲜᲘ ᲕᲔᲜᲐᲮᲔᲑᲘᲡ ᲐᲚᲓᲒᲔᲜᲐ

ᲕᲔᲜᲐᲮᲘ ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲡᲐᲫᲘᲠᲔᲖᲔ ᲣᲜᲓᲐ ᲒᲐᲨᲔᲜᲓᲔᲡ

ისეთი ვენახის გასაშენებლად, რომელსაც ფილოქსერა ზიანს ვერ აყენებს, აუცილებლად საჭიროა ამერიკულ ვაზზე დამყნილი ჩვენებური ვაზი.

განსაკუთრებული ყურადღება მთავრობის დაწესებულებათა და კოოპერატიულ ორგანიზაციების საფიქრებელი ის არის, თუ რამდენი ხამყნის დამზადება შეიძლება დღეს საქართველოში.

უპირველესად ამისათვის საჭიროა ამერიკულ ვაზის რქა, რომელიც საქართველოში არ იშოვება იმდენი, რამდენიც საჭიროა გლეხობისათვის.

ამისათვის მიწად-მოქმედების კომისარიატის სახალხო მამულების ტრესტის სამმართველო იწერდა საზღვარგარეთიდან ამერიკული ვაზის რქის საჭირო რაოდენობას. 1925 წელს გამოწერილი იყო მილიონ-ორას-ათასი მეტრი, 1926 წელს ოთხი მილიონი, 1927 წელს ოთხი მილიონი-სამასი-ათასი მეტრი და 1928 წლისათვის შეკვეთილია—ხუთი მილიონ-ასი-ათასი მეტრი.

ერთ მეტრ ამერიკული ვაზის რქიდან კეთდება საშუალოდ აღმოსავლეთ საქართველოსათვის ორი ხამყნი და დასავლეთ საქართველოსათვის—კი სამი, რადგან საძირე დასავლეთ საქართველოში დასარგავი ხამყენი ვაზისა შეიძლება მოკლე იყოს, ვიდრე აღმოსავლეთ საქართველოსათვის, სადაც გვალვა ხშირად იცის და ურწყავი ადგილები ბევრია. დასავლეთ საქართველოს მევენახეობის რაიონებში ნალექების რაოდენობა წლიურად ათას მილიმეტრზე მეტს



ამერიკული ერთი წლის საძირე ვაზი კახეთის სადედეში

აღწევს, აღმოსავლეთ საქართველოში მხოლოდ 500-700 მილიმეტრამდე ადის.

საზღვარეთიდან გამოწერილ ამერიკულ ვაზის ლერწიდან 1925 წელს გაკეთებული იყო ერთი მილიონი ცალი ნათყენი, 1926 წელს სამი მილიონი ხუთას ათასი ცალი, 1927 წელს თერთმეტი მილიონი ცალი.

ᲐᲛᲔᲠᲘᲙᲣᲚ ᲕᲐᲖᲘᲡ ᲡᲐᲓᲔᲓᲔᲔᲑᲘ ᲤᲐᲠᲗᲝᲕᲓᲔᲑᲐ

უნდა აღინიშნოს, რომ 1925 და 1926 წლებში ნაწილი მიღებულ ამერიკული ვაზისა დაიხარჯა არა ნამყენის გასაკეთებლად, არამედ სადედეების გასაშენებლად, რომ ახლო მომავალში საკუთარი სადედეები გვქონოდა და უცხოეთისათვის აღარ მიგვემართა და ძვირფასი ვალიუტა არ გვეხარჯა, რომელიც 285 ათას მანეთს უდრიდა.

1928 მიმდინარე წლისათვის კი შეკვეთილია 153 ათასი ძახეთის ვაზის რქა.

მაგრამ ჩვენ ვენახების აღსადგენად საჭირო ამერიკული ვაზის ლერწი საკუთარი სადედეებიდან ჯერ კიდევ არ მოგვიპოვებია. იძულებული ვართ ჯერ კიდევ უცხოეთს ვიმართოთ, რომ მეენახე გლეხკაცობის მოთხოვნილება დავაკმაყოფილოთ.

თუ რამდენათ სწრაფათ მიდიოდა ამერიკული ვაზის სადედეების გაჩენება და მიდის ეხლაც საჭიროა მოვიყვანოთ ზოგიერთი ციფრები: 1922 წელს ამერიკული ვაზის სადედეები საქართველოში იყო 32 ჰექტარი, 1923 წელს დაემატა—18 ჰექტარი, 1924 წელს—32 ჰექტარი, 1925 წელს 96 ჰექტარი, 1926 წელს 106 ჰექტარი, 1927 წელს—136 ჰექტარი და ამგვარათ 1928 წლის პირველი იანვრისათვის სულ ჩვენ გვაქვს სამას ექვსი ჰექტარი.

წარსულ წელს ჩვენ გვქონდა საკუთარი ამერიკული ვაზის ლერწის მოსავალი ორ ძილიონ მეტრამდე.

მომავალი წლისათვის ეს მოსავალი ორჯერ ძეტი იქნება და, თუ გავაშენებთ ხუთას ჰექტარამდე სადედეს, ჩვენ შეგვიძლია ჯერ-ჯეროვნით აღარ გაიოვწეროთ უცხოეთიდან ამერიკული ვაზის ლერწი და ვიქონიოთ არამც თუ ჩვენი საჭიროებისათვის, არამედ შევსძლებთ მოკავშირე რესპუბლიკებსაც ვივაწოდოთ

ხუთას ჰექტარ სადედიდან ჩვენ შევსძლებთ მახლობელ ათ-თხუთმეტ წელს აღვადგინოთ ფილოქსერისაგან გაოხრებული ვენახები.

სადედეების ეს არე ჩვენ შეძლებას მოგვცემს ყოველ წლივ დავამზადოთ ნამყენი ვაზი არა ნაკლებ სამი ათას ჰექტარისათვის.


ამერიკული ვაზის სანერგეები საქართველოში განაწილებულია იმ გვარათ, რომ ადგილობრივ მოსახლეობას სარგებლობა უფრო ადვილად შეეძლოს.

ᲡᲐᲨᲘᲠᲝᲗᲐ ᲡᲐᲭᲕᲔᲜᲔᲑᲔᲚᲘ ᲜᲐᲙᲕᲔᲗᲔᲑᲘ

სანერგეების რიცხვი დღითი დღე ფართოვდება და მათ განვითარებას უფრო დიდი გასაქანი მიეცემა, როგორც მოწმობს აძას ადგილობრივ სოფელ გურჯაანში და ქუთაისის მახლობელ მოძხდარ აგროორგანიზაციების გლეხების წარმომადგენელებთან ერთად მომხდარი თათბირები. 1927 წ. 28 დეკემბერს გურჯაანის თათბირმა მიიღო დადგენილება, რომ დაარსდეს გლეხების მეურნეობაში საჩვენებელი ნაკვეთები რიცხვით 24 და მეღვინეობის წარმოებაში 12 ადგილას, კოოპერატიული ხაზით აშენებული იქმას სარდაფები.

ქუთაისში ძიღებულია სანერგეების გადიდება და ერთ ფარგალში მოქცევა კოოპერატიული ხაზით და აგროორგანიზაციის ზედამხედველობის ქვეშ ნაკვეთების მოწყობა საჩვენებელი მიხნით.

აგრ. ვ. ბიბილაშვილი.



სად და როგორი ჯიშის ხეხილის გაშენება შეიძლება ჩვენში

ხეხილსაც სჭირია შეგუება

მეხილეობის განვითარებისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს, რომ ამა თუ იმ კუთხეში გაშენდეს სწორედ იმ კუთხისათვის შეფერი ჯიშები.

თუ დარგული ჯიში ადგილობრივ პირობებს: სითბო-სიცივეს, ჰაერის და ნიადაგის სიმშრალ-სინესტეს ადვილად იტანს, მაშინ სხვადასხვა სენს და მავნებელს ადვილად შეებრძოლება და მოვლა-პატრონობასთან ერთად ყოველწლივ კარგ მოსავალსაც მოგვცემს და ხანგრძლივათაც გვემსახურება.

განსაკუთრებით ჩვენთვისა აქვს დიდი მნიშვნელობა ჯიშების შერჩევას, რადგან ჩვენი მებაღე-მეურნე ჯერ კიდევ არ არის შეჩვეული ხეხილის წესიერად მოვლა-პატრონობას.

პირველ ხანებში, როცა ჩვენში გაუმჯობესებულ ხეხილის ჯიშების გავრცელება დაიწყეს, თითქმის სრულებით ყურადღებას არ აქცევდნენ ამ მხარეს და აშენებდენ ისეთ ჯიშებს, რომელიც ხელთ მოხვდებოდათ.

არც გასამტყუნი იყვნენ მაშინდელი ამ საქმის ძეთაოსნე-მეურნეები, რადგან მაშინ ჩვენში ხეხილის ჯიშების რაიონობრივ შერჩევის შესახებ არაფერი არ კეთდებოდა. გამოცდილება არავის ჰქონდა, სად და რომელი ჯიშის ხეხილი უფრო გამოდგებოდა.

ამიტომ ამ მხრივ ბევრი შეცდომები იყო დაშვებული, რის გამო ბევრ მებაღე—მეურნე იძულებული გახდა შემდეგში მზამზარეულად გაშენებული ხეხილის ბაღი ძირ-ფესვიანად ამოეგდო და ხელახლად სულ ახალი ჯიშის ხეხილი ჩაეყარა, რომ შემოსავლიანი გაეხადა ეს დარგი.

მას შემდეგ გავიდა დრო, გაჩნდნენ გამოცდილი პირები, რომლებიც თვალყურს ადევნებდნენ მეხილეობას, დაარსდა სახელმწიფო დაწესებულებანი, რომელთაც დაევალა ცდების და დაკვირვების ნოხდენა და ადგილობრივ პირობების მიხედვით ხეხილის ჯიშების შესწავლა.

ეხლა ამ მეხილეობის საცდელ სანერგეების მუშაობის მეოხებით, ჩვენ უკვე დაახლოებით ვიცით, სად და რომელი ჯიშის ხეხილი ვარგობს. ძველი შეცდომების დაშვება აძ შემთხვევაში ძნოლოდ მეურნის შეუგნებლობით შეიძლება მოხდეს.

ყოველშემთხვევაში ყველა სოფლის მეურნეს მტკიცედ უნდა ახსოვდეს, თუ ის ხეხილის ბაღის გაშენებას აპირებს, **გააშენოს მხოლოდ და მხოლოდ ხეხილის ის ჯიშები, რომლებიც ადგილობრივ ჰავის და ნიადაგის პირობების კარგი ამტანია, კარგი მსხმოიარეა და რომელსაც სხვადასხვა ავადმყოფობანი და მავნებლები ვერას აკლებენ.**

რა და რა ჯიშები ვარგა ძართლისათვის

მერეთ-ტყვიავის რაიონი, პატარა—ლიაბვის გაღმა-გამოღმა, სოფელ სატისარიდან—ქიწნისამდე.

ვაშლი: ბანანი, ბელფლორი ყვითელი (ახალციხური აბელაურზე დამყნილი), კანადის რენეტი (ანტონოვკა), კალვილი თეთრი (საზამთრო), შამპანიური რენეტი (ბროდსკი), ორლეანის რენეტი (წითელი შაფრანი), ზოლებიანი შაფრანი (მაქალოზე დაბყნილი), სარი სინაპი.

მსხალი: ბერე-ბოსკა (ყელიანი ანუ ალექსანდრე დეკანკა საზამთრო ბერე დილ (პილანური), არდანპონ (კომშა,) საზამთრო სენჟერმენი (გულაბი), ვილიამსი (სუნიანი,) პასს კრასანი (მოკლე ყუნწა).

ბალი: ყვითელი დროგანისა (გროგრა-ბალი), რამონ ოლივისა, ნებიერის გული.

ალუბალი: ვლადიმირის.

ქლიავი: მწვანე ოტური, ანნა შპეტ, აჟენის.

ატამი: ამსდენ, კარალევა ოლღა, ხიდისთაური ყვითელი (ხავერდისებური), ნაზლუ.

თხილი: ბადენი, კერასუნდი (კერესენი).

2. კარალეთ-გორის რაიონი, პატარა ლიახვზე.

ვაშლი: შამპანიური რენეტი, კანადის რენეტი, ლანდსბერგის რენეტი, საზამთრო თეთრი კალვილი (სამოთხის ვაშლზე), ყვითელი ბელფლორი, ორლეანის რენეტი.

მსხალი: ბერე-ბოსკ, დეკანკა საზამთრო, პასს-კოლმარ, პასს კრასან, სენჟერმენი საზამთრო.

ჭ. ბარე-ძართლი (გაღმა მხარი)

კავთისხევის უბანში.

ვაშლი: კანადის რენეტი, ყვითელი ბელფლორი, წითელი კალვილი (საზამთრო), სარი სინაპი.

ატენის უბანში.

ვაშლი: შამპანიური რენეტი, კანადის რენეტი, ოქროს ფერი პარმენი (საზამთრო), კანდილ სინაფი.

ატამი: ატენის სასწაული, მურაბის ატამი (ნავთლუხის ბუმბერაზი), კარგია კურკიდან ამოსული.

სკრის უბანში.

(რაიონის სიმშრალის გამო პირველი ადგილი უნდა მიეცეს კურკოვან მცენარეებს).

ვაშლი: შამპანიური რენეტი, ორლეანის რენეტი, თეთრი რაზმარინი, სამივე ჯიში, თეთრი საზამთრო კალვილი, რენეტი დიდი კასელის.

მსხალი: ვილიამსი (სუხიანი), საზამთრო დეკანკა (კომშზე) დიუშესი და ანგულემ (კომშზე).

ატამი: თეთრი ხიდისთაური, მოლოზნის ანუ ბერბერის ატამი, სკრის სიამპარტავნე, ხაინდრავა, ოსკაპი გორა.

ბალი: ყვითელი დროგანისა, ყვითელი დენისენისა.

ქლიავი: აჟენი, იტალიანური ვენგერკა, ოტური.

ჭერამი: ალჯანაბადი, როიალი, შირაზი.

4. ლეხურის ხეობა:

ვაშლი: შამპანიური და კანადის რენეტა, ოქროსფერი პარმენი (საზამთრო), ყვითელი ბელფლორი.

მსხალი: შემოდგომის დეკანკა; სენჟერმენი, ბერე-ბოსკი.

ქლიავი: ოტური ალტანისა, ვენგერკა იტალიანური.

ალუბალი: ინგლისური საადრეო, იმპერატრიცა ევგენია.

ატამი: ამსდენი, კასპური, ყვითელი ხიდისთაური საგვიანო სათალი და საპობი. კასპის უბნისათვის—გარდა ჩამოთვლილისა გვაზური ყვი-

თელი, განჯური საგვიანო და ძეგვური.

მოცხარი: ვერსალის წითელი, ალუბლისებური წითელი, ნეაპოლიტანური შავი.

ნუში: ჯასპის უბნისათვის—პრინცესა, სუდანის ტყუპები.

5. ძსან-მუხრანის რაიონი:

ვაშლი: იგივე, რაც ლეხურის ხეობისათვის.

მსხალი: ბერი ბოსკა, ვილიამსი, სენჟერმენი, მარიამ-უიზა (ბუთხუზა).

ქლიავი: ალტანის ოტური, იტალიანური ვენგერკა. კვეცხისებური წითელი.

ბალი: ყვითელი დენისენისა და დროგანისა (საკონსერვო).

ალუბალი: იგივე, რაც ლეხურის ხეობისათვის.

ატამი: ამსდენი, თეთრი მინიონი საადრეო, ყვითელი საპობი ხიდისთაური, მოლოზნისა ანუ ბერბერისა, სათლელი.

მოცხარი: იგივე რაც ლეხურის ხეობისათვის.

6. მეჯვრისხევის რაიონი:

ვაშლი: შაჰპანიური, ორლეანის, კანადის და ლანდსბერტის რენეტი, კალვილი წითელი საზამთრო, სარი სინაპი.

მსხალი: ბერე-დილ, მარგარიტა მარილია.

ხაშურის რაიონი, გომიდან ხაშურამდე.

ვაშლი: შამპანიური და კანადის რენეტი, ყვითელი ბელფლორი, კალვილი წითელი საზამთრო.

მსხალი და კურკოვანი ჯიშები არ ხეიროობს.

7. ცხინვალის და ძურთა—კეხვის რაიონი.

ვაშლი: შამპანიური, ორლეანის და კანადის რენეტი, წითელი და თეთრი კალვილი (საზამთრო) ოქროს ფერი პარმენი (საზამთრო), ყვითელი ბელფლორი.

მსხალი: ბერე-დილ, ბერე-ბოსკა, სენჟერმენი, (ორივე რაიონისათვის) გარდა აძისა ცხინვალისათვის—კიურე, არდანპოლი, პასს კრასსანი და ქურთა-კეხვისათვის—ვილიამსი.

იმერეთის საბაღოსნო რაიონი.

მთა-გორიან ადგილებში.

ვაშლი: ფრანგული რენეტი ნაცრის ფერი, შაჰპანური და კანადის რენეტი, რაჭული, სამეფო (საჩირედ).

მსხალი: ბერე-დილ, სენჟერმენი, დეკანკა (საზაძთრო), ხეჭეჭური.

კომში: ბია-ვაშლა.

ქლიავი: ანნა—შპეტ, ვენგერკა იტალიანური, ჭანჭური, თეთრი ქლიავი, იაპონური ქლიავი.

ალუბალი: ყვითელი დენისენისა, მაისის წითელი, მაისის შავი, შავი ბალი, კახამბალი თეთრი.

ატამი: ამსდენ, საადრეო ალექსანდრე, ლეოპოლდ პირველი, ვაშლატამი—ადვახსი. ადგილობრივი ჯიშები: კეზევაძის ატამი წითელი და ყვითელი.

ლელვი: სმირნის, ადგილობრივი ჯიშები: თეთრი, ბრძნილი ანუ დიდი ლელვი.

ვაკე იმერეთში.

(ხონი, ლანჩხუთი, ჯიხაიში, ეწერი, კულაში, სამტრედია და სხვ.).

ვაშლი: ნაჯარა-ვაშლი, ფრანგული რენეტი, პიპინ პარკერის, წითელი კალვილი, საზამთრო.

ატამი: საადრეო — ალექსანდრე, ლეოპოლდ პირველი, ჩინური ჯამისებური ანუ რეპკა.

ქლიავი: ანნა-შპეტ. აჟანისა, იის ფერი ოტური.

ხუნწი: ალუბალისებური წითელი და თეთრი.

მ. ქარცივაძე.

აბრეშუმის ჭიის გამოყვანის სამზადისი

ჩვენში მეაბრეშუმეობა ჯერ კიდევ დაბალ საფეხურზე დგას.

აუცილებლად საჭიროა, ჩვენი გლეხობა ძეტ ყურადღებას აქციონდეს ისეთ ძვირფას ჭიას, როგორიც აბრეშუმის ჭიაა, რომელიც მოკლე ხნის განძვალობაში მეაბრეშუმის ოჯახს შემოსავალს აძლევს.

ყოველ ძეაბრეშუმემ უნდა იცოდეს, რომ მის ახლო რაიონში მეაბრეშუმეობის ინსტრუქტორი მუშაობს, რომელსაც დავალებული აქვს აბრეშუჭის ჭიის საუკეთესო კვების წარმოება და ყოველგვარი საჭირო ცნობების და დარიგებების მიცემა.

გარდა ამისა გლეხმა მეაბრეშუმემ უნდა იცოდეს, რომ არის სააბრეშუმო სადგურები ტფილისში და ქუთაისში, ჟურნალ და გაზეთ „ახალი სოფელი“-ს რედაქცია, რომელსაც ყოველ გაჭირვების დროს უნდა მიმართოს და მიიღოს მათგან რჩევა-დარიგება.


მხოლოდ და მხოლოდ ამ პირობებში შესაძლოა ჩვენი მეაბრეშუმეობის აღორძინება და საშუალო პარკის მოსავალის თითო კოლოფზე სამი-ოთხი ფუთის მიღება, როგორც იტალია-საფრანგეთშია, ნაცვლად ფუთ ფუთ-ნახევრისა.

რადგან მეაბრეშუმეობის სეზონი გვიახლოვდება და სადაცაა მალე შეუდგებიან აბრეშუმის ჭიის თესლის დარიგებას, ძინდა მოვაგონოთ ჩვენს მეაბრეშუმეებს ის, რაც არაერთხელ ჰქონიათ გაგონილი ჩვენი სპეციალისტებისაგან და რის ცოდნაც აუცილებელია ყოველ მეაბრეშუმესათვის.

გონიერულად აბრეშუმის ჭიის კვებას ჭიდრო კავშირი აქვს თუთის (ბეღლის) ფოთოლთან, რომელიც ჭიისათვის საუკეთესო და აუცილებელ საკვებს წარმოადგენს.

ყოველ ძეაბრეშუმემ უნდა იცოდეს, რომ მან იცოდეს კოლოფი თესლი აიღოს, რამდენსაც მის ეზოში დარგული თუთის ხე ეყოფა, იმ ვარაუდით, რომ **თითო კოლოფ თესლისათვის საჭიროა 50—60 ფუთამდე ფურცელი, ესე იგი, 30—40 დიდი თუთის ხე ან 60—70-დე საშუალო სიდიდის ხე.**

ინიციობაა მეაბრეშუმეს საკმარისი თუთის ხე არა აქვს და მას ფურცლის ყიდვა უხდება, ის სცდილობს ყაირათი გასწიოს ფურცელზე და ჭიას ისე ვერ ასაზრდოვებს, როგორც საჭიროა, რის ჟამო ჭია სუსტდება და შეიძლება ადვილად და-



დაკიდული ჩელტი

ავათმყოფდეს, ან ვერ მოასწროს პარკის გაკეთება ან თუ გააკეთა, პარკი ძალიან ხარისხის გამოდის, რის გამო მოსავალიც და შემოსავალიც კლებულობს.

გამჭრიახი მეაბრეშუმე ეხლავე შეუდგება ამ საქმის მოგვარებას, ეცდება თუთის ხის გაშენებას და ძველი ხეების გაახლებას და სხვა.

ამ ვიზნით მიწად-მოქმედების კომისარიატი და „საქართველოს აბრეშუმი“ ურიგებენ თავიანთ სანერგე-ბიდან სურველებს უფასოთ თუთის ხის ნერგებს.

აბრეშუმის თესლი უნდა აიღოთ იმდენი, რამდენისთვისაც ბინა გეყოფათ ერთი კოლოფი თესლიდან გამოყვანილ ჭიის მოსათავსებლად

ბინა უნდა იყოს სიგრძით დაახლოვებით 6 მეტრ-ხახევარი (9 არშინამდე,) სიგანით (7 არშინი) და სიმაღლით 3 მეტრ-ხახევარი (5 არშინამდე.)

თუ მეაბრეშუმე თესლის შეძენის დროს ამ ორ ძირითად პირობას არ დაიცავს და აიღებს უფრო მეტ თესლს, ვიდრე მას თუთის ფოთოლი ან ბინა საკმაო ექნება, ძისი მუშაობა უნაყოფო იქნება და ბრო ა სულ ტ-უილად ჩაუვლის, რადგან კარგი მოვლით შეიძლება უფრო მეტი პარკის მიღება, ვიდრე ორ-სამ კოლოფ ჭიისაგან, რომელსაც საკვებიც და ბინაც აკლდა.

ბინის გასუფთავება და დეზინფექცია

ის ბინა, რომელშიაც მეაბრეშუმეს განზრახული აქვს ჭიის შენახვა, საჭიროა აუცილებლად წინასწარვე დასუფთავდეს. კედლები, იატაკი და ყველა ხელსაწყო იარაღები გაიწმინდოს და უბრალო მდუღარე წყლით ან ნაცარტუტით მოირეცხოს.

საჭიროა აგრეთვე საჭიე ბინის დეზინფექცია, რომ აღნიშნულ ბინაზე სხვადასხვა სენის წარმომშობი თვალთუჩინარი არსებანი ბოუწამლელი არ დარჩეს.

დეზინფექციის მოხდენა შეიძლება გოგირდით და ფორმალინით.

გოგირდით დეზინფექციის მოხდენა ასე უნდა: ყოველ 50 კუბიკურ მეტრ (100 კუბ. არშინ) ბინაზე უნდა აიღოთ 4 კილო (ათი გირვანქა) გოგირდი. გოგირდი უნდა ჩაყაროთ თიხის ჭურჭელში (უკეთესია რამოდენიმე ჭურჭელი დადგათ) და წაუკიდოთ ცეცხლი. ბინის კარები და ფანჯრები აუცილებლად უნდა დახუროთ, რომ შენობაში დამდგარი ბოლი გარეთ არ გამოვიდეს. ბინა ასე დახურული ორი დღე უნდა დარჩეს.

ასეთივე დეზინფექცია უნდა გაუკეთდეს ხელსაწყოებს და იარაღებს, რომელიც აუცილებელია საჭმარად ჭიის კვების დროს, მაგალითად ჩელტ-ლასტებს და სხვა.


ფორმალინით დეზინფექცია ასე უნდა:

აიღეთ 200 გრამი ფორმალინი (ნახევარი გირვანქა) და გახსენით ერთ ვედრა (1 ფუთი) უბრალო წყალში. ამგვარათ შეზავებული წყალი ვენახის სარწყავი მახქახით უნდა მოასხუროთ ბინის ჭერს, იატაკს, კედლებს და მახქანა იარაღებს, რის შემდეგ ორი დღე და ღამე უნდა იყოს ბინის კარები და ფანჯრები დახურული.

კარგია აგრეთვე ბინის კირით შეთეთრებაც.

ხელსაწყოები ჭიის კვების დროს.

ყველა მეაბრეშუმეს უნდა ჰქონდეს წვრილი წნელის ან ჩალისაგან დაწნული უბრალო ჩელტებ-ლასტები— სიგრძით 144 სანტიმეტრი (2 არშინი) და სიგანით 108 სანტიმეტრი (ერთ ნახევარი არშინი).




დასადგმელი ჩელტი

ასეთი ჩელტები შეიძლება ჩამოკიდოთ თოკით ან მავთულით ჭერზე. შეიძლება აგრეთვე ერთი მეორეზე მოთავსება სადგომზე 72 სანტიმეტრი დაცილებით ერთი მეორისაგან. სადგამის ფეხებს გარშემო მოაყარეთ წმინდა სილა, რომელიც დაიცავს ჭიას ჭიანჭველისაგან.

ლასტებზე პირდაპირ ჭიის მოთავსება და კვება არ შეიძლება, საჭიროა ჯერ უბრალო ქაღალდი დააფინოთ და მხოლოდ ამის შემდეგ მოათავსოთ ზედ ჭია.

ბუდნის ახუ ჭიის ქვეშსაგების გამოსაცვლელათ და ხშირი ჭიის შესათხელებლათ საჭიროა **დახვრეტილი ქაღალდი**, რომლის ნახვრეტები ჭიის ხნოვანების (ასაკის) მიხედვით თანდათანობით უნდა გადიდდეს, როგორც სურათზეა ნაჩვენები.



დახვრეტილი ქაღალდი

საკვებ მასალად ხმარობენ სხვადასხვა მცენარეს: ოქროცოცხას, რცხილის, მუხის, ლერწამის შტოებს, მხოლოდ აუცილებლად საჭიროა მისი გასუფთავება წინასწარ და ჩდილში გახმობა არა ნაკლებ ერთი კვირის წინედ.

დიდი მნიშვნელობა აქვს სუფთა ჰაერს აბრეშუმის ჭიის წესიერ ზრდისათვის, რადგან რაც უფრო მეტი სუფთა ჰაერი აქვს ჭიას ოთახში, მით უფრო ჯანმრთელია.

თამბაქოს, კვამლის ან სხვა მყრალი სუნი ჭიას ვნებს.

ამისათვის საჭიროა ხშირად ჰაერის გამოცვლა საჭიე ოთახში, ფანჯრების გაღება და ბუხარში ცეცხლის დანთება დახშულ და ნესტიან ჰაერის გასაწმენდათ. მაგრამ ჰაერის გაწმენდის დროს გამკრავი ქარი არ უნდა ხვდებოდეს ჭიას.

სუფთა ჰაერთან საჭიროა საჭიე ოთახში აგრედვე 17-20 გრადუსი სითბო იდგეს, (რეომიურის ტერმომეტრით) ამ მიზნისათვის დიდ საძსახურს უწევს ბუხარი, ხანდახან მარტო ქაღალდის დაწვაც საკმარისია.


არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს ზედმეტ სინესტესაც საჭიე ოთახში; ნესტი ჭიაზე ცუდად მოქმედობს. ზედმეტი სინესტისაგან ჭია ადვილად ავად ხდება.

ამისათვის საჭიროა ბუდრის (საგების) ხშირი ცვლა, ჩელტების სუფთად შენახვა და მშრალი ფოთლის მიცემა ჭიისათვის.

ზედმეტი სინესტის მოსასპობათ ხმარობენ დაუშლელ ქვა-კირს, რომელსაც დასდებენ აქა-იქ საჭიე ოთახში და როდესაც კირი დაიშლება, უნდა გამოსცვალოთ.

ყოველივე ზემოაღნიშნული უნდა იცოდეს და ახსოვდეს ყოველ მეაბრეშუმს თუ უნდა კარგი მოსავალი ჰქონდეს.

ვლ. ნიჟარაძე.



ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲛᲝᲙᲕᲔᲕᲐ

ᲭᲐᲠᲮᲚᲘᲡ ᲯᲘᲨᲔᲑᲘ.

Ჭარხალი ნაყოფს იძლევა თავის ფესვით ანუ ძირით, ამიტომ მას **ძირნაყოფას** ეძახიან. ასეთივე ძირნაყოფია სტაფილოც.

Ჭარხალი სხვადასხვა სახისა არის: **საკვები, საჭმელი** და **შაქრის.**

I. ᲡᲐᲙᲕᲔᲑᲘ ᲭᲐᲠᲮᲐᲚᲘ.

საკვები Ჭარხალი იძლევა დიდ მოსავალს 1.500—2.500 ფუთსჰ ექტარზე. ეს ჯიში უფრო წყლიანია შედარებით სხვა Ჭარხლებთან და რქოსან საქონლისთვის საუკეთესო საკვებია. ძირის მოყვანილობის მიხედვით ეს ჯიში იყოფა ორ ჯგუფად: გრძელ ძირიანი და მოკლე ძირიანი. გრძელ ძირიან საკვებ Ჭარხალს ეკუთვნის „**წითელი მამუტი**“, რომელიც ღრმად ზის მიწაში. კარგათ იტანს გვალვას, მაგრამ ის ნაკლი აქვს, რომ ძვირი ჯდება მისი მიწიდან ამოღება მოსავლის აღების დროს.

უფრო გავცელებულია ამ ჯიშის მეორე ჯგუფი, მოკლე ძირიანი Ჭარხალი, რომელიც ზრდის დროს მთლად მიწის ზედა პირზეა მოქცეული და მხოლოდ ოკლედ ზის მიწაში. ძირის მოყვანილობა—მორგვალებულია. ძალიან დიდი მოსავალი იცის. ადვილად ამოსაღებია. ამ ჯგუფში შესახიშნავია ეკენდორფის წითელი და ყვითელი ჯიშები.

II. ᲡᲐᲭᲛᲔᲚᲘ ᲐᲜᲣ ᲡᲣᲤᲠᲘᲡ ᲭᲐᲠᲮᲐᲚᲘ.

საჭმელი Ჭარხალი ნაკლებ მოსავალს იძლევა, ვიდრე საქონლის საკვები Ჭარხალი, მხოლოდ უფრო შაქრიანი და გემრიელია, რის გა ც საჭმელში ვხმარობთ. საჭმლის Ჭარხალს



მოკლე ძირიანი საკვები Ჭარხალი

სთესავენ ბოსტანში, რადგან კარგი გაპატიებული ნიადაგი ესაჭიროება და მინდვრად დათესილ ნაკლებ მოსავალს იძლევა. კარგად მოვლილი

ბოსტანი 1000—1.500 ფუთ ჭარხალს იძლევა ჰექტარზე. ჩვენში მოჰყავთ წითელი ჯიშები—ძირის მოყვანილობა მოგრძელოა. ხშირად ამ ჯიშს ხახვარ შაქრიანს ეძახიან.

III. შაქრის ჭარხალი.

როგორც სახელი გვიჩვენებს შაქრის ჭარხალი თავის წვენში გაცილებით მეტ შაქარს შეიცავს, ვიდრე ზემო დასახელებული ჯიშები. **ათი ფუთი** შაქრის ჭარხალი გადამუშავების შემდეგ **იძლევა 50—70** გირვანქამდე შაქარს, იმ დროს, როდესაც საკონლის ჭარხალში 7—10 გირვანქა ძლივს მოიპოვება.

შაქრის ჭარხლის ჯიში გამოიყვანეს ასი წლის წინეთ გერმანიაში უბრალო სუფრის ჭარხლის ჯიშიდან („სილეზიის ჭარხალი") ძირების ბერჩევით.

შაქრის ჭარხალი ითესება იმ რაიონებში, სადაც შესაფერისი ჯუნებრივი პირობები მოიპოვება მის ზრდისთვის. მიმდინარე წელს გორის მაზრაში დაითესება შაქრის ჭარხალი დაახლოვებით 100 დესეტინამდე. გლეხების მინდვრებზე ჭარხლის თესვა დიდ მიღწევად უნდა ჩაითვალოს იმის მიუხედავათ, თუ რა მიზნით ითესება ჭარხალი.

რა სარგებლობა მოაქვს ჭარხლის თესვას.

როდესაც ჭარხლის თესვას ვიწყებთ, გაბედულათ შეგვიძლიან ვსთქვათ, რომ:


1) ჩვენ მინდორზე სარეველა ბალახი მოსპობილი იქნება, რადგან ჭარხალს მოვლის დროს 2—3-ჯერ თოხნა სჭირდება; ამასთან ერთად ჭარხალი თხოულობს ღრმად მოხვნას და მიწის კარგად გაფხვიერებას. ამის გამო

2) ჭარხლის შემდეგ დათესილი პურეულობა მოსავალს შესამჩნევათ მეტს მოგვცემს.

3) ჭარხლის თესვით ჩვენ ვადიდებდ ნათესების არეს. ჭარხლის თესვის შემოღების შემდეგ სრულიად საჭირო აღარ იქნება ნასვენი მიწის დატოვება, რადგან ნიადაგის ჯანღონის აღდგენა სხვა გზით ხდება.

ჭარხლის მოსავალი უფრო დიდ ღირებულებას წარმოადგენს, ვიდრე პურეულობისა.

სოფლის მეურნემ ჯერ უნდა გადაწყვიტოს, რა მიზნით სთესავს ჭარხალს: საკონლისთვის, სუფრისთვის—საქმელად თუ შაქრის ქარხნისთვის.



შაქრის ჭარხალი

ჩვენში ასეთი ქარხანა ჯერ არ არის გაჭართული, მაგრამ ახლო მომავალში აშენდება გორის მაზრაში.

ყოველივე სახის და ჯიშის ჭარხალს ერთი და იგივე მოვლა-მოყვანა უნდა. გარჩევა მხოლოდ იმაშია, მოგვყავს ეს მცენარე ბოსტანში თუ მინდვრათ.

ნიადაგის დამზადება.

ჭარხლის ძირი პურეულობასთან შედარებით ღრმად იდის ნიადაგში. ამიტომ თუ იგი ღრმათ არ არის მოხნული, ჭარხლის ფესვებს ზრდა-განვითარება უძნელდება. ამის გამო ჭარხლისთვის ნიადაგი აუცილებლივ

20—22 სანტიმეტრზე (4—5 ვერშოკზე) უნდა მოიხნას. ტრაქტორი საუკეთესოთ ახნავს ამ სიღრმეზე. ვიდრე ჭარხალი დაითესება, მიწა უნდა გასწორდეს და დაიფარცხოს ჯერ თეფშებიანი ფარცხით და შემდეგ რკინის კბილებიან ფარცხით (ზიგზაგით). უფრო კი უკეთესია თუ მოახერხეთ შემოდგომითვე მოხვნა, მაშინ გაზაფხულზე მეორეთ ზერელედ გადახნავთ, დაფარცხავთ და ასე დამუშავებული მიწა მზათაა დასათესათ.

ჭარხლის თესლი.

დანით რომ გავსჭრათ ის, რასაც ჭარხლის თესლს ეძახიან, დავინახავთ, რომ ეს თესლი კი არ არის—ესაა ერთი მეორესთან შეკოწიწებული **თესლთა გროვა**—თანანაყოფი. თესლი მომწყვდეულია თავის გარსში და ძალიან წააგავს ლობიოს მარცვალს, მხოლოდ ზომით უფრო პატარაა, ამ გვარათ გამოდის, რომ ვთესავთ ჭარხლის რამდენიმე თესლს ერთათ და თესლის აღმოცენა-გაღივების დროს ერთი ადგილიდან 3—4 მცენარე ერთათ ამოდის.

აუცილებლივ დაგიჭირდება თოხნის დროს ზედმეტი მცენარეების მოშორება, ნათესის შეთხელება.

თესლის დამზადება.

ჭარხლის თესლი შეიძლება დაითესოს მშრალი ან დასველებული; ზოგჯერ გაღივებულსაც სთესენ. ყველაზე საუკეთესოა, რომ ჭარხლის თესლი ერთი დღე-ღამე წყალში დალბეს და შემდეგ ცოტა გამოშრეს. სველი თესლი უნდა გაფინოთ თხლათ იატაკზე ან მშრალ მიწაზე რაძდენიმე საათით.

თესვის დრო.

თესვის დრო დამოკიდებულია ამინდზე. ადრე გაზაფხულზე, თუ შესაფერისი სითბოა, ჭარხალი სიმინდზე ცოტა ადრე უნდა დაითესოს **15 აპრილიდან მაისის ათამდე.**

ვიდრე თესლი დაითესება, უნდა გამოიკადოს მისი აღმოცენების უნარის გასაგებათ. **თუ ას ცალ თესლში 75 ცალი აღმოცენდა, თესლი ვარგისია.** 14 დღეში აღმოცენება უნდა დამთავრდეს.

რამდენი თესლია საჭირო.

ამოსვლის დროს ბევრი ნორჩი ჭარხალი იღუპება სიცივის, მავნებლების და სხვ. მიზეზისაგან. ამიტომ საჭიროა ზედმეტი თესლი დაითესოს. მწკრივათ დათესილ ჭარხალს ნაკლები თესლი უნდა, ჰექტარს 2—3 ფუთი ეყოფა; ცხადია, რომ გაბნევით უფრო მეტი თესლი იხარჯება. (3-4ფ.)

თესვის წესი.

ჭარხალი უნდა რიგზე (მწკრივზე) დაითესოს, რადგან გაბნეულ ნათესში სათოხნ იანქანას ვერ ვამუშავებთ და მოვლა-პატრონობა ძვირად დაგვიჯდება. თესლი ღრმათ არ უნდა **დაიმარხოს.** ორი სანტიმეტრი ან ნახევარი ვერშოკი სრულიად საკმარისია. შესაძლებელია სიმინდის სათესი მანქანითაც დაითესოს ჭარხალი. დათესილი შემდეგ უნდა დაიტკეპნოს სატკეპნელით („კატოკი“).


თესლის გაღივება.

10—14 დღის შემდეგ თესლი გაღივდება და იწყებს აღმოცენას. თუ ნიადაგის ზედაპირზე ქერქი არ არის გადაკრული, მაშინ ნორჩი მცენარე თამამათ იზრდება; და თუ ქერქ გადაკრული ნიადაგი შეხვდა, მცენარე იჩაგრება.

ჭარხლის ნათესების მოვლაზე შემდეგ წერილში. აგრ. ი. ჭურდიანი.



ფარცხი „ზიგ-ზაგი“.



მანდარინის ბაღის გაშენება

დასავლეთ საქართველოს დასავლეთი ნაწილი: გურია-სამეგრელო და შავი ზღვის სანაპირო ადგილები წარმოადგენს განსაკუთრებულ კუთხეს, საცა ზამთარი თბილია და ზაფხული ზომიერად ცხელი; ტემპერატურა ზამთარში იშვიათად ეცემა—7°—8° გრადუსის დაბლა და ყინვიანი დღეები 22° (ცელსიის) არ აღემატება, საშუალოდ კი 7 დღეა გრძელდება.

ეს კუთხე, თუმცა საესებით სუბტროპიკულ მხარეს არ წარმოადგენს, მაგრამ საკმაოდ უახლოვდება ძას. აქ კარგად ხარობს გაშლილ ჰაერზე ბევრი თბილ ქვეყნების (ტროპიკული და სუბტროპიკული) მცენარეები: ფორთოხალი, მანდარინი, ჩაი, ზეთისხილი, კამელია, პალმები, ევკალიპტუსი და ბევრი სხვა.

მანდარინის კულტურამ, როგორც ჩაის მცენარისამ, კარგად მოიკიდა ფეხი გურია-სამეგრელოში და შავი ზღვის სანაპირო ადგილებში, მაგრამ 1924—1925 წლის არაჩვეულებრივმა ყინვიანმა ზამთარმა, რომელმაც უფრო მეტად ნარინჯოვანი მცენარეების ნარგვები გაახმო, ცოტა არ იყოს შეაფერხა ეს საქმე.

მოსახლეობა დაშინდა და არ იცოდა, როგორ მოქცეულიყო, განეგრძო მანდირინის ნარგვების გაშენება, თუ არა.

გადაჭრით შეიძლება ითქვას, რომ ეს შიში უსაფუძვლოა, მანდარინის კულტურა იმდენათ შემოსავლიანია, რომ 15—20 წელიწადში კიდევაც რომ გამეორდეს ამნაირი სასტიკი ყინვები და მთელი ნარგავები გადახმეს, მაინც ხელსაყრელი და სასარგებლოა მისი გაშენება.

შემჩნეულია, რომ დიდი ყინვები მეორდება დაახლოებით 30—40 წელში ერთხელ, მაგალითად, 1876—1877 წლის არაჩვეულებრივმა ცივმა ზამთარმა შავი ზღვის სანაპიროში გაახადგურა ფორთოხლის ნარგავები, როგორც ახალი, ისე ძველი, გადარჩა მხოლოდ მოფარებულ ადგილებში და ტყეში გაშენებულ ბაღში.

1910—1911 წელს ფერდობებ და ზეგან ადგილებში ტემპერატურა იყო —8° ც., ვაკე და დაბლობ ადგილებში კი —12° ცელსიის მანდარინამ მგადაიტანა ეს სიცივე, მხოლოდ დაუზიანდა ფოთოლი და ნორჩი ყლორტები, გადახმა ახალი ნარგავები მარტო ორგან, ქობულეთის რაიონის დაბლობ ადგილებში და გურიაში დაუსკდა ქერქი-კანი და თალი მოეყინა ჭალებში და ვაკე ადგილებში.


ამნაირად შიში მანდარინის ნარგავების გახშობისა უსაფუძლოა და ურჩევთ გურია-სამეგრელოს და შავი ზღვის სანაპიროს მშრომელ გლეხობას კვლავ შეუდგენ მანდარინის გაშენებას.

მანდარინის ჯიშები ბევრია. დასავლეთ საქართველოში ყველაზე უფრო გავრცელებულია მანდარინის ჯიში „უნშიუ", ანუ „უნშიუ-იკან". ეს ჯიში უფრო უძლებს ყინვებს, მაგალითად—8°-ამდე ც. საზრგადოთ მანდარინი უფრო ამტანი და უფრო მუდმივათ ნაყოფის მომცემია, ვიდრე ჩვეულებრივი ფორთოხალი, მაგრამ

მანდარინი ფორთოხალზე ნაკლებ ხანგრძლივია.

მანდარინის ნარგავისათვის ადგილის ამორჩევა და დამუშავება.

მანდარინისთვის საჭიროა მზიანი და ცივი ქარისაგან დაფარული ადგილი. თუ ადგილი ბუნებრივი საფარით (გორა, ტყე და შენობები) უზრუნველყოფილი არ არის, მაშინ ხელოვნური საფარი—საქარე უნდა გაუკეთდეს.



მანდარინას ნაყოფიანი ყლორტი

საფარათ ყველაზე უკეთესია მუდმივი მწვანე და წიწვიანი მცენარეები, განსაკუთრებით ისეთები, რომელნიც ხშირ ფურცელს იკეთებენ. საქარე მანდარინას იფარავს, როგორც ქარისაგან, ისე მზისაგანაც.

ნიადაგი მანდარინისთვის ყველაზე ნაირი გამოდგება, რადგან ნიადაგის შემადგენლობა შეიძლება ადვილად შეიცვალოს ამა თუ იმ მასალის მიმატებით, მაგალითად, მძიმე თიხნარ ნიადაგში უნდა შეიტანოთ სილა, ქვიშნარში თიხა, კირი, ნაკელი და სხვა.

ადგილმდებარეობის მხრივ მანდარინი ზეგან ადგილებში ყოველგან იხეირებს, მხოლოდ ჩრდილოეთ ფერდობზე ნაყოფი მუავე გამოდის; აღმოსავლეთის ფერდობზე შეიძლება მზისგან ფოთოლი შეეხრუკოს კარგ დარში წინაღამის ყინვების შემდეგ. ამ მოვლენის თავიდან აცილება შეიძლება ხეების შეხვევით ჩალით, ჭილობით და სხვა ამნაირი მასალით

თუ ადგილი, საცა მანდარინის ნარგავს აშენებთ, ჯაგნარი და გაუწმენდელია, ის უნდა გაიწმინდოს: ბარდ-ეკალი და ბუჩქები აიკაფოს, ძირები ამოითხაროს და იქვე დაიწვას. მიწის დამუშავებას რომ ხელი არ დაუშალოს დიდროვანი ქვები და ხის კუნძები უნდა იქიდან გავიტანოთ.

გაწმენდილი და გასუფთავებული სამანდარინე ადგილი დარგვამდე ერთი-ორი თვით ადრე ღრმად უნდა მოიხნას ან ერთ ბარის პირზე დაიბაროს.

საერთოდ მიწის გადარჩურება, რომელიც მიღებულია ძველახალობაში, დასავლეთ საქართველოში დიდ საჭიროებას არ წარმოადგენს და თი თქმის საზარალოც არის. ცოტათი დაქანებულ ადგილზე იქაური ხანგრძლივი წვიმების დროს ნიადაგის საუკეთესო ზედა პირს ჩარეცხავს, შეტანილ ნაკელს წალეკავს და წვიმის ღვართან ერთად წაიღებს. მეტად დაქანებული ადგილის მთელ სივრცეზე მიწის გადაბრუნება ადვილად გაიწვევს მეწყერს და მიწის მთელი რბილი ნაწილი ნარგავებით ძირს დაეშება; ამნაირი შემთხვევები ხშირად ყოფილა ბათომის ახლო რაიონში.

მანდარინის ნარგავისათვის დამზადებული ადგილი უნდა დაიგეგმოს თოკის და ჩხირების საშუალებით:— აღინიშნოს გზები და ხეების დასარგავი ადგილები. გზის სიგანე უნდა იყოს არა ნაკლები 2—3 არშინისა, ურემმა რომ თავისუფლად გაიაროს ნაკელის შესატანად და მოსავლის გამოსატანათ. შემდეგ დანიშნავენ ხე-

ების დასარგავ ადგილს მწკრივათ ერთი ჰექტარზე 4—6 არშინის დაშორებით, ჭანდრაკულათ.

დასარგავი ორძოები რამოდენიმე თვით დარგვამდე ადრე უნდა დამზადდეს. ყველაზე უკეთესი დრო შემოდგომაა.

ორმო ღრმა არ უნდა, მისი სიღრმე უნდა შეეფარდოს ნიადაგის თვისებას: ფხვიერ და წყლის გამტარ ნიადაგში—უფრო ღრმა; მძიმე, თიხხარ და წყლის არ გამტარ ნიადაგში უფრო ზერელე; ყოველ შემთხვევაში ორმოს სიღრმე არ უნდა იყოს 12 ვერშოკზე მეტი.

ორძოს სიფართე საკმარისია 1—$1^1/_2$ არშინი. მიწის ამოთხრის დროს მიწის ზედა ფენი ერთი ბარის პირის სიღრმეზე ორმოს ერთ მხარეზე უნდა დაიყაროს, ქვედა ფენის ძიწა ცალკე მეორე მხარეზე.

ყველაზე უკეთესი დრო მანდარინის დასარგავათ არის მარტი; გაზაფხულის დარგვა შეიძლება დავიწყოთ თებერვალშიც, იგრამ ამ თვეში ხშირად ცივი ღამეები იცის. აპრილიდან ივნისამდე მცენარე ზრდაშია და მათი გადარგვა არ შეიძლება. ივლისში, თუ ზრდა შეჩერებულია, გადარგვა შეიძლება.

როცა მანდარინის ნარგავისთვის ადგილი უკვე მზად არის, საჭიროა ნერგის მომარაგება. ნერგი თვითონ თუ არ გაქვთ, უნდა შეიძინოთ საიმედო პირისაგან. ნერგათ ყველაზე უკეთესია ერთწლოვანი ნამყენი, ორი და სამწლოვანი ნერგები ძნელი გასახარებელია, მათ ხშირად ერთწლოვანი ნამყენები ზრდაში ასწრობენ.

ნერგს ფესვებზე მიწა უნდა ჰქონდეს და ამასთან უნდა გაიშინჯოს, რომ ნერგი ღრმად არ ყოფილიყოს სანერგეში დარგული. თუ ღრმად ყოფილა, მაშინ ნერგს მიწა უნდა მოეცალოს ფესვებს ზევით სიფრთხილით, რომ ძიწა ფესვებს არ მოსცილდეს, რადგან მიწასთან ფესვები სცილდება და ეს მცენარეს კვების საშუალებას უსუსტებს.

ხშირად მოხდება, რომ ნერგის მიღების დროს მიწა მზად არ არის დასარგავათ, მაშინ შეკრული ნერგები არ უნდა გახსნათ და ისე ჩაფლათ მიწვენით მიწაში სადმე მყუდრო ჩრდილიან ადგილას. თუ ნერგის მიწა მშრალია, საჭიროა ერთხელ კარგად მოირწყას, თუ სველია, მაშინ საკმარისია ნერგების წყლით შესხურება. როცა მიწა გაშრება, საჭიროა დროგამოშვებით ზომიერად მორწყათ.

მანდარინი, როგორც სხვა ყველა ნარჩენოვანი, მრავლდება თესლით, კალმით (ყლორტიან), გადაწვენით და უმთავრესად მყნობით. ყველაზე უფრო ხელსაყრელია მყნობით გამრავლება. დაჭყნილი ნერგების დასამზადებლად საჭიროა ცალკე ადგილის მიჩემება. ასეთ ადგილს სანერგეს ეძახიან.

აგრ. ერ. ნაკაშიძე.



ᲞᲐᲜᲛᲠᲗᲔᲚᲝᲑᲐ

რა უნდა ვიცოდეთ ვენერიულ სენზე

ვენერიული სენი კაცობრიობის უდიდესი მტერია. მას უნდა იცნობდეს ყოველი მუშა და გლეხი.

თითოეულმა მოქალაქემ უნდა იცოდეს, თუ როგორ შეიძლება ამ სენისაგან თავის დაცვა. ავადმყოფმა უნდა იცოდეს გზა და წესი თავის განკურნვისა.

ვენერიული სნეულება ძველი ავადმყოფობაა. მით დაავადებული იყვნენ ძველის-ძველად. ამას მოწმობენ ძველი საბუთები.

ვენერიული სენი სულ სამია: **ათაშანგი** ანუ სიფილისი, **სუსუნატი და რბილი შანკრი** ანუ წყლული.

ამ სამ ავადმყოფობას ერთი მეორეში საერთო არა აქვთ-რა. თითოეულ მათგანს განსაკუთრებული მიკროორგანიზმი იწვევს.

მიკრო-ორგანიზმი ისეთ ცოცხალ სხეულებს ეწოდებათ, რომელნიც შეუიარაღებულ თვალით არ დაინახება. მათი დანახვა შეიძლება მიკროსკოპის საშუალებით.

ათაშანგი ანუ სიფილისი.

ვენერიულ სენთა შორის ყველაზე უფრო გამანადგურებელი ათაშანგია. მას მკრთალი სპიროხეტა იწვევს. ასეთი სახელი იმიტომ ეწოდება ამ მიკროორგანიზმს, რომ ფერად მკრთალია და მოყვანილობით ბურღის მგზავსი.

ეს მიკროორგანიზმი აღმოაჩინა 1905 წელს მეცნიერმა შაულინმა. ამიტომ ამ მეცნიერის პატივსაცემლად შაულინის მკრთალ სპიროხეტას უწოდებენ.

ათაშანგი ვრცელდება სქესობრივი და არა სქესობრივი გზით. სქესობრივი გზით ათაშანგი მაშინ ვრცელდება, როდესაც ავადმყოფი მამაკაცი აწარმოებს სქესობრივ ცხოვრებას ჯანმრთელ ქალთან ან პირიქით.

არა სქესობრივი გზა ეს ყოფაცხოვრების სიფილისია. ეს ხდება ჩვენი გაუნათლებლობით.

ხშირია შემთხვევა, როდესაც შორად წასული კაცი, შინ ათაშანგით ბრუნდება. მას რცხვენია შინაურების; არ ამხელს მომხდარ ამბავს; მისგან ათაშანგი კოცნით ან შეხებით. ან საერთო ჭურჭლის ხმარებით სხვა ოჯახის წევრზე და ახლოს მყოფზე გადადის.

არის შემთხვევები, როდესაც ათაშანგი ძიძიდან ძუძუს წოვებით გადასულა.

ათაშანგი ადვილად გადადის ჩექმების სახელოსნოში. მეჩექმე ერთბაშათ რამოდენიმე ლურსმანს ჩაიყრის პირში და ჩექმას ისე კერავს. თუ ლურსმანი არ გამოადგა, ლურსმნებშივე ჩააგდებს. ჩაგდებულ ლურსმანს მეორე მეჩექმე აიღებს. პირველი თუ ათაშანგიანია, მეორესაც ათაშანგი გადაედება.

იქ, სადაც მკრთალი სპიროხეტა შეიჭრება, მივიღებთ გამაგრებას. რამოდენიმე დღის შემდეგ გამაგრებული ადგილი დაწყლულდება. წყლული გასინჯვით მაგარია; ამიტომ ათაშანგს ეძახიან მაგარი შანკრი ეწოდება.

დაწყლულებას საზარდულის ჯირკვლების შეძსივნება მოყვება. მთელ ამ ხანას ათაშანგის პირველი ხახა ეწოდება.

პირველ ხანის მერე მეორე ხანა იწყება. ეს უკანასკნელი ხან ადრე და ხან გვიან იწყება; საშუალოთ მეორე თვეზე.

ათაშანგის მეორე ხანას ტანზე გამონაყარი ახასიათებს.

გამონაყარს წითელი ფერი აქვს. თუ ადამიანი წამლობს, ის ჩქარა გა-

ქრება, წინააღმდეგ შემთხვევაში გაქრება, მაგრამ ცოტა გვიან.

მეორე ხანას მოყვება მესამე, ეგრედ წოდებული, **გუმოზური ხანა.**

ათაშანგის ასე მიმდინარეობა სავალდებულო არ არის. შესაძლებელია მესამე ხანა სრულიად არ დადგეს.

ᲐᲗᲐᲨᲐᲜᲒᲘ ᲛᲬᲐᲠᲩᲔᲜᲘ ᲐᲕᲐᲓᲛᲧᲝᲤᲝᲑᲐᲐ.

მეცნიერულად დამტკიცებულია, რომ ათაშანგი ძოსარჩენი ავადმყოფობაა. მხოლოდ ამას უნდა მოთმინება, როგორც ავადმყოფის ისე ექიმის მხრივ.

პირველ ყოვლისა საჭიროა ავადმყოფმა ექიმს მიმართოს და არა სოფლის ექიმბაშს. საჭიროა ექიმთან მისვლა, არამც თუ მაშინ, როდესაც ათაშანგის ნიშნებს შენიშნავთ, არამედ უფრო ადრე, თუ საქმე, რასაკვირველია, საეჭვო ქალთან გქონდა.

ათაშანგის სიმკაცრე მრავალგვარია. პირველ ყოვლისა ის არის მთელი სხეულის ავადმყოფობა. მისი გამომწვევი მიზეზი, მკრთალი სპიროხეტა, ორგანიზმის ყველა კუნჭულში მოიპოება.

გარდა ამისა ათაშანგი შთამომავლობაზე გადადის. **ღრღნის ადამიანის ცხოვრებას, უკარგავს საზოგადოებას მუშა ხელს, ამახინჯებს და წუთისოფელს ათხოვებს მრავალ ახალგაზრდას და ჯანლონით სავსე პირს.**


ᲡᲣᲡᲣᲜᲐᲢᲘ.

თავის სიცხოველით ვენერიულ სენთა შორის მეორე ადგილი სუსუნატს უჭირავს. ამ ავადმყოფობის გამომწვევი მიზეზი გონოკოკია. ეს მიკროორგანიზმი აღმოაჩინა ნეისერმა და ამ მეცნიერის პატივსაცემლად ნეისერის გონოკოკი ეწოდება სახელად.

სუსუნატი ვრცელდება განსაკუთრებით სქესობრივი გზით. შესაძლებელია, რასაკვირველია, არა სქესობრივი გზითაც გავრცელდეს, მაგრამ ეს იშვიათი შემთხვევაა.

ადამიანი სუსუნატით რომ ავად გახდეს, ამისთვის საჭიროა მამაკაცი ან დედაკაცი ავად იყვეს ამ სენით.

სუსუნატის გამომწვევი მიზეზი, გონოკოკი, იწვევს შარდსადენის ლორწოვან გარსის ანთებას; ამ ანთების შედეგად სასქესო ასოს მილიდან გამოდის ჩირქი; ჩირქი დასაწყისში წმინდაა, შემდეგ ამღვრეული ფერისაა.



ვენერიული სენით დაავადებულ ადამიანის სახე

სუსუნატის გამომწვევ მიზეზს შეუძლია შეიჭრას სათესლე ჯირკვლის დანამატში და მოგვცეს ჯირკვლის დანამატის ანთება. ზოგ შემთხვევაში ორთავ ჯირკვლის დანამატი განიცდის ანთებას. ეს ძალიან ცუდი მოვლენაა, ვინაიდან ჯირკვლის დანამატის ანთებას ხშირად უშვილობა მოყვება.

ცუდი მკურნალობის დროს სუსუნატი ქრონიკულად გადადის.

რბილი შანკრი.

მესამე ვენერიული სენი **რბილი შანკრია**. ეს ავადმყოფობა, ვენერიულ სენთა შორის, ყველაზე ადვილია.

რბილ შანკრს იწვევს ერთნაირი ჩხირი, რომელიც **დუკრეისაგან** იყო აღმოჩენილი. და ამ ძეცნიერის პატივსაცემლად დუკრეის ჩხირის სახელს ატარებს.

რბილი შანკრი ვრცელდება უმრავლეს შემთხვევაში სქესობრივი გზით. ეს ავადმყოფობა ისე როგორც ათაშანგი და სუსუნატი, მოსარჩენი ავადმყოფობაა.

*
**

ამ რიგად ჩვენ განვიხილეთ თითოეული ვენერიული სენი და დავინახეთ, რომ მათ საერთო ურთიერთ შორის არაფერი არ აქვთ. თითოეულ მათგანს ყავს თავის საკუთარი გამომწვევი მიზეზი. ერთი მეორეში არც ერთი მათგანი არ გადადის. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ერთსადა იმავე პირს სჭირს, როგორც ათაშანგი, ისე რბილი შანკრი.

ვენერიული სენი თავიდან უნდა ავიცილოთ.

ვენერიული სენი რომ თავიდან ავიცილოთ, ამისთვის საჭიროა მოვერიდოთ ცოლქმაროზის გარეშე სიყვარულს. განსაკუთრებით სიფრთხილე მართებთ სოფლიდან ჩამოსულ გლეხობას. ქალაქმა არ შეაცდინოს.

არის შემთხვევები, როდესაც გლეხი წვრილი ცოლშვილის პატრონი ქალაქად ჩამოსულა; ხილი ან სხვა რამ ჩამოუტანია; გაუყიდია, შემდეგ ძმაბიჭებისთვის ხათრი არ გაუტეხია, შეკვეთია პურის ჭამას და შეზარხოშებულა. ღვინო მაგარი ბიჭია. რაც უნდა მედგარი იყოს ვაჟკაცი, ღვინო თუ შეუჯდა თავისას გაიტანს. და აი ასეთ შემთხვევაში არა ერთი და ორი სოფლელი ჩავარდნილა გასაჭირში—მოსდებია ვენერიული სენი.

აქედან აშკარაა, თუ რა სიფრთხილეა საჭირო ქალაქად ჩამოსვლისას.

მაგრამ თუ ყოველ შემთხვევაში საქმე წახდა და კაცი ათაშანგით ავად გახდა—სასოწარკვეთილებას არ უხდა მიეცეს.

აქ საჭიროა ვაჟკაცურად შეხედო მწარე სინამდვილეს თვალში, გამხნევდე და ექიმს მიმართო.

დღეს იმისთანა კარგი წამლებია აღმოჩენილი ათაშანგის საწინააღმდეგოდ, რომ მორჩენა შესაძლებელია; მხოლოდ საჭიროა ერთნაირ წესების შესრულება; პირველ ყოვლისა ავადმყოფი უნდა ეყერიდოს თავის ოჯახის წევრს და ახლობელს.

საბჭოთა მთავრობამ ათაშანგი ხალხის მტრად გამოაცხადა. მას საზოგადოებრივი უბედურება უწოდა და მზათ არის ებრძოლოს ამ უბედურებას რაც ძალი და ღონე აქვს.

ამიტომაც ხსნის სოფლად ვენერიულ სენთან მებრძოლ პუნქტებს და დისპანსერებს. ქალაქად კი ამბულატორიებს, დისპანსერებს და საავადმყოფოებს.


ტფილისში ათაშანგს მკურნალობენ ყველა ამბულატორიაში; არსებობს ამ საქმესთან საბრძოლველად ვენერიული დისპანსერი. გარდა ამისა ქალაქის ჯანმრთელობის განყოფილებას, კამოს ქუჩაზე № 34, აქვს ვენერიული საავადმყოფო. წამლობა უფასოა. აი, სად უნდა მიმართოს მუშამ და გლეხმა მკურნალობისათვის თუ ავად გახდა.

უმჯობესი კია, რომ ავად არ გახდეთ. ამისთვის საჭიროა მეტი სიფრთხილე.

ათაშანგი ღრღნის ადამიანის სხეულს, აძაბუნებს მას, უკარგავს სახელმწიფოს მუშა ხელს და ავალიანებს თითოეულ მოჭალაქეს. ამიტომ ცხარე ომი მას და მის მიზეზებს: კაპიტალისტურ წესწყობილებას.

ექიმი **პ. ბუაჩიძე.**

მეცნიერება და ტექნიკა



როგორ გამოიგონა ადამიანმა ნიადაგის დამმამუშავებელი იარაღები

ძველად ადამიანს მეურნეობის იარაღი არ ჰქონია


იყო დრო, როდესაც ადამიანმა ნიადაგის დამუშავება სრულიად არ იცოდა. ეს მაშინ იყო, როდესაც ის ველურად ცხოვრობდა. მაშინ ადამიანი თავის ცხოვრებით ნადირს უფრო წააგავდა: იკვებებოდა იმით,



პირველყოფილი გუთანი.


რასაც იშოვნ-იპოვნიდა ან მოჰკლავდა.

მერე ადამიანის გონება თანდათან ვითარდება, იგონებს უბრალო ია-



პირველყოფილი ოღნავ განვითარებული გუთანი.


რაღს, ნადირობს, თევზაობს და ამ ნანადირევით და ნაპოვნით ირჩენს თავს. ამ პირობებმა ხელი შეუწყეს მის გამრავლებას და სხვადასხვა გა-



ეგვიპტური გუთანი, რომელსაც უკვე ლითონის წვეტი აქვს.

მოცდილების და დაკვირვების დაგროვებას მის ცხოვრებაში.

ამასობაში ადამიანმა ზოგიერთი გარეული ცხოველიც მოაშინაურა და




რომაული გაუმჯობესებული გუთანი

მისი ცხოვრება თანდათან გართულდა: ის ალაგ-ალაგ ჩერდება თავის საქონლის გამოსაკვებად. როცა ერთ ადგილას საქონლის საკვები გამოი-

ლეობდა, ის მეორე ადგილას გადადიოდა მთელი თავისი ავლა-დიდებით.

გავიდა დიდი დრო. ხალხი კიდევ უფრო გამრავლდა. იალაღი შემცირდა. ამის გამო ზოგ ადგილას ადამიანმა ხელი მიჰყო ბინადრულ ცხოვრებას. ის იძულებული გახდა, რომ სიმშილისაგან თავი ეხსნა, არამცთუ საქონლის, არამედ თავის საკვების მარაგზედაც ეზრუნა. მას ეს საკვები ადგილზე უნდა ეშოვნა, რადგან შორს სიარული უკვე სახიფათო გაზდა იალაღის სივიწროვის გამო. ამ მიზნით ის ახლო ეცნობა მცენარეების და პირუტყვების ცხოვრებას.



ᲫᲔᲠᲫᲜᲣᲚᲘ ᲣᲫᲕᲔᲚᲔᲡ ᲓᲠᲝᲘᲡ ᲒᲣᲗᲐᲜᲘ.


მის განსაკუთრებულ ყურადღებას იპყრობს ის გარემოება, რომ საფლავზე ამოსული მცენარეები უკედ იზრდება და უკეთესს ნაყოფსაც იძლევა, ვიდრე იქვე ხელ-უხლებელ მიწაზე ამოსული.

ადამიანი ამით უკვე ხვდება, რომ გაჩიჩქნილ, მოთხრილ ნიადაგში მცენარე უკეთ ვითარდება. საჭირო გახდა მისთვის ისეთ იარაღის გამონახვა, რომელიც ნიადაგს ისეთნაირად მოსჩიჩქნიდა, რომ მცენარეს კარგად ეხარა.

ამ გარემოებამ საბაბი მისცა ადამიანს ეშოვა ისეთი საგანი, რომელიც ნიადაგს მოსჩიჩქნიდა. ამ მიზნის მისაღწევად მან იხმარა წვეტიანი ტოტი (ბოლი), რომელიც გახდა, უნდა ვიფიქროთ, ეხლანდელ იარაღის ძამათ-მთავარი.

შემდეგ ნიადაგის დამუშავების შესახებ საუკუნეთა განმავლობაში მთელი რიგი გაძოცდილება დაკვირვება მოგროვდა ადამიანის გონებაში.

ხალხის გამრავლების და ნიადაგის მუდმივად მუშაობაში ყოფნის გამო, მიწის დამუშავებას უფრო მეტი ყურადღება მიექცა.



მონებით ნიადაგის დამუშავება ეგვიპტეში.

შემდეგ ამ საქმეში მეცნიერებაც ჩაერია, შეიმუშავა ნიადაგის დამუშავების განსაზღვრული წესები, რომლითაც დღეს დაწინაურებული სოფლის მეურნეობა სარგებლობს და კარგ შედეგებსაც აღწევს.


ᲒᲣᲗᲐᲜᲘ ᲔᲠᲗᲒᲐᲨᲐᲗ ᲐᲠ ᲐᲠᲘᲡ ᲒᲐᲛᲝᲮᲝᲜᲘᲚᲘ

როგორც ვხედავთ, ადამიანს ნიადაგის დამმამუშავებელი იარაღები ერთბაშად არ გამოუგონია.

პირველი იარაღის შემოღება იმ უძველეს დროს ეკუთვნის, როცა ხალხი ველურ ცხოვრებიდან ბინადრულ ცხოვრებაზე გადადიოდა. სხვადასხვა დროს და სხვადასხვა ქვეყნებში ნიადაგის დამმამუშავებელ იარაღების კონსტრუქცია *) თანდათან უმჯობესდება, თუმცა პირველყოფილი იარაღები დღესაც ჯერ კიდევ ხმარებაშია დაქვეითებულ ხალხებში, როგორც ნაჩვენებია სურათზე.


ნიადაგის დამმამუშავებელ იარაღების განვითარების გზა ასეთი იყო:

სულ პირველად ადამიანმა ნიადაგის დასამუშავებლად იხმარა მწვეტიანი ჯოხი და შემდეგში თოხის



ნიადაგის დამმამუშავებელ იარაღის თანდათანობითი განვითარება.

მაგვარი ხის ტოტი (ბოლი), რომელშიაც ძველად ყმებს უბამდნენ (იხ. სურ. 1). შემდეგ მან ამჯობინა ისეთი ტოტი, რომელსაც ამონაზარდი ჰქონდა იარაღის ძართვის გასაადვილებლად (იხ. სურ. 2). მეურნე ამითაც არ დაკმაყოფილდა და იმავე მიზნით იარაღი ორი ცალკე ნაწილებისაგან ააგო (იხ. სურ. 3) და მხოლოდ ამის შემდეგ იგონებს კავს (იხ. სურ. 4). ამას უკვე შეგვიძლიან დავარქვათ იარაღი, რასაც შემდეგ საცვეთი მიემატა (იხ. სურ. 5). საცვეთის შემდეგ იარაღს აგებულების




ქართული გუთანი.

გასამაგრებლად მიემატა ხმალა (სურ. 6), შემდგომ ეს იარაღი უფრო განავითარა, მაგრამ ჯერ ფრთაარ ჰქონდა გამოგონილი (სურ. 7). ბოლოს ფრთის და ყველა დამხმარე ნაწილების გამოგონებით დასრულდა მიწის დამმამუშავებელი იარაღი-გუთანი.

*) აგება, აშენება.

„საკი“-ს გუთანი.

ნიადაგის დამმუშავებელ იარაღის გაუმჯობესება ამაზე არ გაჩერ-



თანამედროვე გაუმჯობესებული რკინის გუთანი.

და. დაახლოებით 80 წლის წინად სცადეს აეგოთ მანქანა, რომელიც გუთხისა და ფარცხის მუშაობას ერთად შეათავსებდა, ე. ი. აღნიშნულ მანქანის დახმარებით ნიადაგი იხვნება და ფხვიერდება კიდეც. ასეთ მანქანას უწოდებენ „ფრეზა“-ს. ეს მანქანა, ისე როგორც თხუნელა (მუდო), მუშაობს ბრჭყალებით, მხოლოდ იმ განსხვავებით, რომ მანქანის ბრჭყალები ფოლადისაა.

აგრონომი **კ. ლეჟავა.**

გამოსადეგი ცოდნა

ახლად დაბადებულ თავბრუდასხმულ ხბოს მამოცოცხლება

როცა მშობიარობა დიდხანს გრძელდება და ძნელად იკებს ძროხა ხბოს, ხბო იბადება სიცოცხლის ნიშნების მოკლებული, დაბორიალებული.

ასეთ ხბოს შემდეგი ნიშნები აქვს: არ სუნთქავს, ენა გამოგდებული, ტუჩები, ცხვირი და თვალის ქუთუთოები დალურჯებული აქვს.

ხბოს დაბორიალება იმიტომ ხდება, რომ საშვილოსნოში მდებარე ხბო ბუდესთან და მამყოლთან წყვეტს კავშირს და გარეთ გამოსვლამდი აძავე დროს იგვიანებს. ის იწყებს სუნთქვას და ჰაერის მაგიერ ფილტვებში ჩასდის ბუდეში მდგარი წყალი. წყალი მას დაახრჩობს, თუ დაბადებამ დაიგვიანა.

გვიან დაბადებული ხბო დაბორიალებული, მიმკვდარებულია და, თუ დროზე არ ვუშველეთ, მოკვდება.

ასეთ შემთხვევაში დახმარება იმაში უნდა გამოიხატოს, რომ ხბოს სუნთქვა აღვუდგინოთ.

თუ ხბო ოღნავ დაბორიალებულია, მაშინ საკმარისია ძროხამ ენანით ალოკოს და ჰიმიდან გამოეშვას სისხლი

მაგრამ თუ ხბო ძლიერ დაბორიალებულია და სიცოცხლის ნიშნები არა აქვს, მაშინ ცივი წყალი ტანზე უნდა ასხუროთ, გაუღიზიანოთ ცხვირის ნესტოები ნიშადურის სპირტით ან თამბაქოს კვამლით.

თუ ამან არ უშველა, უნდა გამოიწვიოთ ხელოვნურად სუნთქვა: გაშალეთ ხბო მიწაზე ზურგით, გამოუწმინდეთ ცხვირი და პირი ლორწოიანი სითხისაგან, წაავლეთ წინა ფეხებზე ხელი და ხან განზე გაუწიეთ, ხან ერთმანეთს მიუახლოვეთ. ამავე დროს მეორე პირმა ენა უნდა გამოუწიოს და შეუწიოს რამდენჯერმე. ენა უნდა გამოუწიოს იმ დროს, როცა წინა ფეხებს ერთმანეთს მიუახლოკებენ და შეუწიოს იმ დროს, როცა ფეხებს განზე გაუწევთ.

თუ ხბო დაბორიალებულია მარტო ხსენებულ ზომების მიღებით, ის გამოცოცხლდება და თუ მომკვდარა, ვეღარაფერი ვერ უშველის.

საქონლის ექიმი **მირიანაშვილი.**

რამდენი მუშა-ხელი და მასალა დასჭირდება ერთ ჭკვევა (900 ოთხკუთხი საჟენი) მანდარინის ბაღის გაშენებას.

მუშა ხელი

1.	მიწის გაწმენდა ჯაგებისაგან და გადაბრუნება 54 სანტიმეტრზე . .	112 მუშა
2.	გზების გაკეთება	8 „
3.	225 ცალი ორმოს ამოღება . . .	„
	(72 სანტ. × 54 სანტ.)	16 „
4.	ორმოებში მიწის ჩაყრა	2 „
5.	სასუქის, კირის და ლამის მიტანა	10 „
6.	225 ცალ ხის დარგვა	6 „
7.	მიწის გასწორება ხეების გარშემო და წყლის დასხმა	„ 12 „
8.	ზაფხულში სამხელ დათოხვნა .	24 „

მ ა ს ა ლ ა:

1.	ნერგი	225 ცალი
2.	სარი	225 „
3.	ხელოვნური სასუქი .	9 გირ. 36 მისხ.
4.	კირი	6 ფუთი
5.	ლამი	4 კუბიკური საჟენი
6.	შაბიამანი სამხელ სასხურებლად .	6 გირ.
7.	პარიზის მწვანე	3 მისხ.
8.	კირი შესასხურებლად	6 გირვ.
9.	სხვა საწამლავი მასალა:	
	კარბოლის სიმჟავე	3 გირვ.
	სკელსიდი	17 „
	გოგირდი	3 „

კითხვა-პასუხი

აგრონომიული დარიგება

კითხვა. მაქვს პატარა სანერგე. შარშან დავმყენი. როდის შეუდგე მათ გადარგვას ან რამდენ ხანს შეიძლება სანერგეში ნამყენი ეხილის გაჩერება.

სანდრო მამალაძე.

პასუხი. თუ თქვენი ახალგაზრდა ხეხილი წარსულ შემოდგომაზეა დამყნილი სჯობია მომავალ წლის, ეესე იგი, 1929 წლის გაზაფხულზე გადარგოთ, მაშინ ის ერთი წლისა გახდება და თავისუფლად შეიძლება გადარგოთ. არც ორი წლის ნამყენის გადარგვაა საზარალო. ამ ორი წლის განმავლობაში თქვენ უფრო უკეთ მოუვლით ნაყენებს, ისინი უკეთ განვითარდებიან, გათამამდებიან და უკეთესი ხეხილი დაგიდგებათ. თუ გადასწყვეტთ მემრის გაზაფხულზე გადარგვას, მაშინ მომავალ შემოდგომაზევე უნდა ამოიღოთ ორმოები, მიიტანოთ ნოყიერი მიწა, სასუქი, რომ გაზაფხულზე დარგვისათვის ყოველისფერი მზად გქონდეთ.

მებაღე ხ. საბაშვილი.

კითხვა. გასაფხულზე მოიგებს ჩემი ძროხა. მინდა ხბოს მაშინათვე მოშორება და უხბოთ წველა, მაგრამ არ ვიცი, რომელი წესი უფრო ხელსაყრელია—უხბოთ თუ ხბოიანათ წველა.

ანდრო ხუბაშვილი.

პასუხი. გადავრით პასუხის მოცემა თქვენ კითხვაზე ძნელია, რადგან ხბოს მოშორება ან ხბოიანად წველის სარგებლიანობა ბევრ სხვადასხვა პირობებზეა დამოკიდებული. თუ თქვენ ისეთ მიყრუებულ ადგილას ცხოვრობთ, სათაც რძეს დიდი ღირებულება არა აქვს და არც ხბოს კვება წესიერად იცით უდედოთ, მაშინ, რასაკვირველია, სჯობია, რომ ხბო არ მოაშოროთ და ისე წველოთ. მაგრამ თუ თქვენში რძეს კარგი ფასი აქვს და მაშინათვე რძეთ საღდება, მაშინ სჯობია ხბო მოგებისთანავე მოაშოროთ დედას და ცალკე აღზარდოთ. მაგრამ მაშინ ხბოს აღზრდას განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიაქციოთ და კვებოთ ისე, როგორც ამას გასწავლით გაზეთის „ახალი სოფელი“, თუ მალე არ გაყიდით მას და გადასწყვიტეთ სანაშენოდ დატოვებას. კარგად ასწონ-დასწონეთ და რომელი წესიც უფრო სარფა იყოს, იმას დაადექით. ჩვენი რჩევა ასეთი იქნება: თუ თქვენ მეზობლებსაც მეწველი საქონელი ჰყავთ. შეადგინეთ მერძევეთა არტელი და მაშინ უფრო გაგიადვილდებათ მაგ საკითხის გადაწყვეტა.

ძველი მეურნე.

რედაქტორი-აგრონომი ნ. ალნიაშვილი. პასუხ. რედაქტორი გ. მუშიშვილი.

მთავლ. № 518 გამომცემლობა „ახალი სოფელი“ ტირაჟი 5.000.

პოლიგრაფტრესტის მე-5-ე სტამბა კამოს ქუჩა, № 68.

ა 9846
1928

100 მილიონი სოფლის მეურნეობას



ამხანაგებო, გლეხებო!

შეიძინეთ საგლეხო მომგებიანი სესხის ობლიგაციები.

სესხის ძიზანია სოფლის მეურნეობის აღორძინება.

ვინც საგლეხო სესხის ობლიგაციას შეიძენს ის სოფლის მეურნეობის აღორძინებას ხელს შეუწყობს.

ყველა შეგნებულ გლეხის ვალია შეიძინოს საგლეხო სესხის ობლიგაცია.

რამდენადაც ადრე შეიძენთ ამ სესხის ობლიგაციებს, იმდენად მალე მიეცემა საღსარი თქვენს ხელისუფლებას გაგიწიოთ დახმარება მანქანა-იარაღებით, თესლით და სხვა სასოფლო-სამეურნეო საგნებით, იმდენად მალე წინ წაიწევს თქვენი მეურნეობა.

საგლეხო სესხის ობლიგაციის შეძენა გლეხისათვის ხელსაყრელია:

1. ას მილიონიდან გათამაშებული იქნება 18 მილიონი მანეთი.

2. ათ მანეთიანი ობლიგაცია წელიწადში 60 კაპ. სარგებელს აძლევს მყიდველს.

ათ მანეთიან ობლიგაციით შეიძლება 1000 მანეთი მოიგოთ.

3. ობლიგაციით შეიძლება სახელმწიფო გადასახადი გადაიხადოთ.

4. სესხის პირველი გათამაშება 1928 წლის ოქტომბერში მოხდება.

ობლიგაციის შეძენა შეიძლება ყველა საკრედიტო დაწესებულებასა და ამხანაგობაში, თემალმასკომსა და სოფლის საბჭოებში, კოოპერაციისა და სხვა დაწესებულებებში და იმ პირებთან, რომლებსაც განსაკუთრებით დავალებული აქვთ ეს საქმე.